ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 22 დეკემბერი, 2023 | №252 (9288) | ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კაცს, რომელმაც ავტობუსში ცოლი მოკლა, სააპელაციომაც 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა

გვ.3




# „გახარია სააკაშვილისა და „ოცნებისგან“ არ განსხვავდება!“





ლევან ალაფიშვილი: „სანამ გვარ-სახელების პოლიტიკა გვექნება, უკეთესობისკენ არაფერი შეიცვლება“

გვ.3



## „ზურაბიშვილი ივანიშვილის გარეშე არაფერს გააკეთებს“

გვ.2



იაგო ხვიჩია: „მე არ ველოდები, რომ სააკაშვილს არჩევნებამდე გამოუშვებენ“



გვ.3

ვახტანგ მაისაია: „ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით ჩვენ გვაქვს 9 სერიოზული პრობლემა. ფაქტობრივად, კანდიდატის სტატუსი ავანსად მოგვცეს“

„რუსმა და ოსმა აგრესორებმა თბილისი-გორის ტრასის ხელში ჩაგდება რომ ვერ შეძლეს, ევროკავშირის დამსახურებაა“

## ირაკლი ღარიბაშვილი: „პენსიები კვლავ გაიზრდება — 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთათვის 50 ლარით, 415 ლარი გახდება, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 500 ლარი“

გვ.4





გვ.4

## ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის შეფასებები მომავალ არჩევნებზე ერთმანეთის საწინააღმდეგოა

ისტორიები




## როგორ იწყებოდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის შექმნა

გვ.5

მედიცინა

გვ.5

რა შველის შარდის ბუშტის ანთებას



**6** მამაკაცმა ჩაის გამო ცოლს თავი მოაჭრა

**6** აშშ-ის სენატმა, შესაძლოა, უკრაინას უკვე იანვარში დამატებითი დახმარება გამოუყოს

**7** საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა დაუმარცხებელ პორტუგალიას მოუგო

**6** სამუდამო პატიმრობამისჯილს ციხიდან გაქცევაში დედა დაეხმარა

# „ზურაბიშვილი ივანიშვილის გარეშე არაფერს გააკეთებს“

ნონა ცაბაძე

## იაგო ხვიჩია: „მე არ ველოდები, რომ სააკაშვილს არჩევნებამდე გამოუშვებენ“

„ახალი თაობის“ კითხვებს „გირჩის“ ლიდერი იაგო ხვიჩია პასუხობს.

***– ბატონო იაგო, პარტია „საქართველოსთვის“ მოუწოდებს ხელისუფლებას, რომ მიხეილ სააკაშვილი ციხეში გადაიყვანონ. თქვენ თუ შეუერთდებით ამ მოწოდებას და, ზოგადად, რა პოზიცია გაქვთ ამასთან დაკავშირებით?***

– პატიმრის ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანა პოლიტიკოსის საქმე არ არის. ჩემი საქმე ნამდვილად არ არის, მოვითხოვო მიხეილ სააკაშვილის ციხეში გადაყვანა. არასდროს ეს არ მომითხოვია და არც მომავალში მოვითხოვ. ჩემი საქმე არ არის, მიხეილ სააკაშვილი სად მოიხდის სასჯელს. თუმცა, ვერც გახარიასა და მის პარტიას დავუშლით აზრის გამოთქმას. ჩემი აზრით კი, მიხეილ სააკაშვილისნაირი კაცი, ციხეში კარგად ვერ იქნება. გაჭირვებულ ადამიანზე კიდევ წიხლის დაჭერა, რომ შენ აქ კი არა, უარეს ადგილას, ციხეში უნდა იჯდე, არ მგონია სწორი.

***– სააკაშვილის თემით რომ გავაგრძელოთ, თქვენთვისაც ცნობილია, რომ სასამართლო პროცესზე ჩართვისას მან სიტყვით ისარგებლა და ოპოზიციას გაერთიანებისკენ მოუწოდებს. რის თქმა უნდოდა სააკაშვილს? მისი პარტია დაიშალა და ვის მოუწოდებს გაერთიანებისკენ? ან თქვენ თუ აპირებთ ნაციონალებთან თანამშრომლობას? რა მესიჯები გაუგზავნა სააკაშვილმა საზოგადოებას?***

– მოდით დავიწყოთ იქედან, საზოგადოებას ეხებოდა ეს, მთელ ოპოზიციურ სპექტრს, თუ ნაცმოძრაობის ყოფილ თუ მერყევ წევრებს, ეს არ ვიცი. უნდა გამოიკვეთოს, როგორ განმარტავს ნაციონალური მოძრაობა თავისი ლიდერის სიტყვებს. რამე შეხვედრები მართლა იქნება, ამას სერიოზული ხასიათი ექნება, თუ რამე მაიმუნობა იქნება, ეს გამოჩნდება.

***– როგორ ფიქრობთ, მელიას წასვლის მომხრე არ იყო სააკაშვილი?***

– ვერ გეტყვით. მე მათ შიდა ამბებში გარკვეული არ ვარ. ფაქტია, რომ მელია წავიდა და მაინცდამაინც არ გამოსტირებია არავინ.



***– პატარ-პატარა ოპოზიციური პარტიების გაერთიანებაზე ბევრი ექსპერტი საუბრობს. ამ კანონმდებლობის პირობებში სხვა არჩევანი არ აქვთო. ასევე ვენეციის კომისია უარყოფითად აფასებს „ოცნების“ საარჩევნო რეფორმას. აქვს ოპოზიციას იმის მოლოდინი, რომ ამ კუთხით რამეს შეცვლის „ქართული ოცნება“?***

– „ქართული ოცნების“ იმედად მტერი იყოს. შესაბამისად, მე მაგის იმედად არ ვარ. მე ვარ ქართველი ხალხის იმედად, რომ ბარიერი რაც უნდა იყოს, ამის გადალახვას შევძლებთ. უფრო მეტიც, ავიღებთ იმდენი რაოდენობის ხმებს, რომ შემდეგ პარლამენტში, ვერც ნაცებმა და ვერც ქოცებმა გადაწყვეტილება, ჩვენთან შეთანხმების გარეშე, ვერ მიიღონ.

***– დამოუკიდებელ თამაშს აპირებთ?***

– რასაკვირველია! ჩვენ სულ დამოუკიდებლად ვთამაშობთ. ახლაც ასე იქნება.

***– ვენეციის კომისიის დასკვნას არაობიექტურად აფასებს „ოცნება“. აქედან გამომდინარე, გაქვთ მოლოდინი, რომ შეცვლიან რამეს?***

– ვენეციის კომისიის დასკვნა სულ იყო ქოცების არგუმენტი ოპოზიციის წინააღმდეგ. სულ ამას გაიძახოდნენ, ეს იმიტომ მივიღეთ, რომ ვენეციის დასკვნაში ასე წერია. ახლა პირველადაა ვენეციის დასკვნა მათ წინააღმდეგ. რას გააკეთებენ, ვერ გეტყვით. ან უნდა თქვან, რომ ვენეციის კომისია ცუდია, ან რაღაც უნდა გააკეთონ. რას გააკეთებენ, წარმოდგენა არ მაქვს. იმედი ვიქონიოთ, რომ რამე ფუნდამენტურ ცვლილებას გააკეთებენ.

***– რას იტყვით ბიძინა ივანიშვილის გამოჩენაზე? ბევრმა ჩათვალა, რომ ეს მისი წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისია. რამდენად გაუჭირდება „ოცნებას“ და რამდენად გახდება საჭირო მისი ჩართულობა?***

– მე მგონი, ისედაც ჩართულია ბატონი ბიძინა ივანიშვილი საკმარისად. ისედაც სრული რესურსებით ეხმარება „ქართულ ოცნებას“. ეს გამოჩენა საზოგადოებაში ზედმეტს არაფერს მეუბნება. ამის გამო ლაპარაკი იმაზე, რომ ის პოლიტიკაში ბრუნდება და ასე შემდეგ, აბსურდია. ზოგადად, იმ ფორმით პოლიტიკაში ჩართულობას, როგორც ის დღეს არის, მე მირჩევნია, ღიად ჩაერთოს და გვქონდეს ჩვენ საშუალება, მას უშუალოდ ველაპარაკოთ, როგორც პოლიტიკურ აქტორს და არსებობდეს ოფიციალური ადგილი, რომ დაველაპარაკოთ და რაღაცაზე შევუთანხმდეთ. შემოვიყვანოთ საჯარო დისკუსიაში, რის საშუალებაც, სამწუხაროდ, ახლა არ გვაქვს.

***– პრეზიდენტის როლზე რას იტყვით? ის არ გამორიცხავს 2024-ის არჩევნებში მონაწილეობას. თუ ჩაერთო, რა ფორმით უნდა მიიღოს მონაწილეობა? რამდენად გაქვთ მოლოდინი, რომ ოპოზიციას შემოიკრებს?***

– მე მგონი, პრეზიდენტის მისია ყველასთვის ცხადია, ეს არის „ქართული ოცნებისგან“ დაცვენილი პროევროპული ხმების მოგროვება და ისევ „ქართული ოცნების“ ყულაბაში დაბრუნება. აქედან გამომდინარე, მე საერთოდ სხვანაირად ვუყურებ ამ ისტორიას.

***– რას გულისხმობთ?***

– მე მგონია, რომ პრეზიდენტის ჩართულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება „ქართული ოცნების“ სტრატეგიული თამაში. „ქართულ ოცნებასთან“ შეთანხმების გარეშე, არ ველოდები, რომ პრეზიდენტი ამას გააკეთებს. უფრო ზუსტად, ივანიშვილთან შეთანხმების გარეშე.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ პრეზიდენტი ზურაბიშვილი ივანიშვილის თამაშს თამაშობს?***

– ვფიქრობ, რომ არაფერი ცუდი ივანიშვილს პრეზიდენტისთვის არ გაუკეთებია, პირიქით, ზედ გადაჰყვა. ქალბატონ სალომესაც არანაირი საფუძველი არ მოუცია ჩემთვის, ვიფიქრო, რომ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ არის. შესაბამისად, მგონია, ნებისმიერი რამე, რაც ხდება „ქართულ ოცნებასა“ და ქალბატონ პრეზიდენტს შორის, შეთანხმების ნაწილია. თორემ მე არ მჯერა, რომ „ქართულ ოცნებას“ პრეზიდენტის გადაყენების რესურსი არ ჰქონდა, ეს რომ მართლა მოენდომებინა.

***– უცებ რომ ადგეს პრეზიდენტი და მიხეილ სააკაშვილი შეიწყალოს? ამას რამდენად ელოდებით?***

– მისგან დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას არ ველოდები. ყველა ასეთი გადაწყვეტილება, ეს იქნება „ოცნების“ მიერ მიღებული, ოღონდ აღსრულებული სალომე ზურაბიშვილის ხელით.

***– თუ შეიწყალა, ეს „ოცნების“ ნების აღსრულება იქნება?***

– თავად აქამდეც შეეძლო შეეწყალებინა. მე არ ველოდები, რომ სააკაშვილს არჩევნებამდე გამოუშვებენ, ხოლო თუ შეიწყალებს, მხოლოდ და მხოლოდ „ოცნების“ ნებართვით. ეს იქნება „ოცნების“ გადაწყვეტილება და არა სალომე ზურაბიშვილის.

***– თუ „ქართულმა ოცნებამ“, ვენეციის კომისიის შენიშვნებიდან გამომდინარე, ბარიერის დაწევა გადაწყვიტა, მხარს თუ დაუჭერთ?***

– ჩვენ პირველი მოსმენით დაჭერილი გვაქვს მხარი 2%-მდე დაწევაზე. ამიტომ ახლაც დავუჭერთ. არ ვემზადებით იმისთვის, რომ ბარიერი დაიწევა, ჩვენ ვემზადებით იმისათვის, რომ ბარიერი გადავლახოთ, რაც არ უნდა იყოს ის. ჩვენი მიზანია, არჩევნების მოგება, აი, მერე კი, ბარიერის დაწევაც და სხვა კარგი საქმეების კეთებაც.

# გიორგი ცუცქირიძე: „2023 წელს ქვეყნის ეკონომიკა საბოლოოდ გამოვიდა რეცესიული ციკლიდან“

**— მიმდინარე 2023 წელი იმ თვალსაზრისითაც არის საინტერესო, რომ 2020 წლის კოვიდ პანდემიური შოკის შედეგად, რასაც ეკონომიკის 6.8% -იანი ვარდნა მოჰყვა, ქვეყანა საბოლოოდ გამოვიდა რეცესიული ციკლიდან, — ამის შესახებ ეკონომისტი გიორგი ცუცქირიძე სოციალურ ქსელში წერს.**



მისი თქმით, პოლიტიკურ ასპექტში დღეს ჩვენი მთავარი ამოცანა, 2024 წელს ევროკავშირში გაწევრიანებაზე დიალოგის გახსნა, ხოლო ეკონომიკურ ნაწილში – ადგილობრივი პროდუქციის წარმოებით მიწოდების ჯაჭვების ეფექტის მაქსიმალურად გამოყენებაა.

– მიმდინარე 2023 წელი იმ თვალსაზრისითაც არის საინტერესო, რომ 2020 წლის კოვიდ პანდემიური შოკის შედეგად, რასაც ეკონომიკის 6.8 %-იანი ვარდნა მოჰყვა, ქვეყანა საბოლოოდ გამოვიდა რეცესიული ციკლიდან. ეკონომიკა, რომ გამოსულია რეცესიული ციკლიდან და მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ამას საქონლის და მომსახურების ექსპორტის, რაც დასაქმების მნიშვნელოვანი წყაროა ქვეყანაში, მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობაც ასახავს.

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი თუ 2012 წელს იყო 36.5 %, 2019 წელს მან ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და 54.8 % შეადგინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის რეცესიული შოკისას, რაც ეკონომიკის 6.8 %-იან ვარდნაში აისახა, მისი მაჩვენებელი მკვეთრად დაეცა 37.3 %-მდე, თუმცა 2022 წელს 52.6 %-ს მიაღწია, ხოლო მიმდინარე წლის პროგნოზით, მისი მაჩვენებელი 55 %-ს გადააჭარბებს და არც ის არის შემთხვევითი, რომ ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები სარეკორდო იქნება 4.4 მილიარდი აშშ დოლარით. რაც მომსახურების მთლიან ექსპორტში სავარაუდოდ 73-74 % იქნება და გადააჭარბებს 2019 წლის 71 %-იან მაჩვენებელს.

რადგან ტურიზმის თემატიკას შევეხეთ, ევროკავშირის ქვეყნებში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი, 2022 წლის მიხედვით მოდიოდა ხორვატიაში – 25.%, შემდეგ ისეთ ტურისტულ ქვეყნებში, როგორებიც საბერძნეთსა და პორტუგალიაში – 18.5 % იყო, ესპანეთში – 13.6 %, მალტა – 13.2%, იტალიაში – 10.2 %, პირველ ათეულში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან შედიან სლოვენია – 9.2 % და ესტონეთი – 8.7 %.

საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის და მოგზაურობის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2019 წელს 25 %-ს შეადგენდა, რაც ხორვატიის მსგავსია და მასში უშუალოდ და ირიბად 2019 წელს დასაქმებული იყო 492 ათასი ადამიანი. მათ შორის უშუალოდ ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული იყო 197 ათასი ადამიანი.

აქვე შევნიშნავ, რომ ეკონომიკაზე მისი პირდაპირი ზემოქმედება ხდება ტურისტების მხრიდან გაწეული ხარჯვით, ისეთ სექტორებში როგორებიცაა დასვენება და ტრანსპორტირება, ხოლო არაპირდაპირი ზემოქმედება მომდინარეობს მიწოდების ჯაჭვიდან, სადაც ის ყიდულობს საქონელს და მომსახურებას(მაგ. საკვები პროდუქტები, საბითუმო მოვაჭრეები, კომუნალური საშუალებები) და ამით ხდება ე.წ მკვებავი დარგების დაფინანსება.

აღსანიშნავია, რომ ტურისტულ ინდუსტრიაში და მის მკვებავ დარგებში სრული დასაქმების მაჩვენებელი 2010-2019 წლებში 157%-ით იყო გაზრდილი.

თუმცა, ასევე ვნახეთ საერთაშორისო მოგზაურობისთვის კორონავირუსის პანდემიის ნეგატიური შოკიც, როდესაც შემოსავლები მკვეთრად დაეცა და 3,5 მილიარდ დოლარზე მეტი იყო ზარალი ეკონომიკისათვის. და რომ არა მაშინ და განსაკუთრებით პოსტპანდემიურ პერიოდში მთავრობის გადაწყვეტილებები ტურისტული ინდუსტრიის მხარდასაჭერად, რასაც იმ პერიოდში ოპოზიცია მისთვის დამახასიათებელი პოპულიზმით აკრიტიკებდა, არა მხოლოდ მშპ-ზე იქონიებდა გრძელვადიან ნეგატიურ ეფექტს, არამედ რისკის ქვეშ დააყენებდა ტურიზმთან დაკავშირებულ თითქმის 400.000 სამუშაო ადგილსაც.

დღეს, როდესაც ტურისტული ინდუსტრია, ფაქტობრივად, აღდგენილია, აღნიშნულ სექტორებში სამუშაო ადგილების შენარჩუნებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 2022 და 2023 წლებში დასაქმების ზრდას და უმუშევრობის შემცირებას.

როგორც აღვნიშნე მიმდინარე წელს, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული პირდაპირი შემოსავლები 4.4 მილიარდ აშშ დოლარი იქნება, რაც ისტორიული მაქსიმუმია. ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი და უკვე მომავალ წელს ევროკავშირში გაწევრიანების პროცედურის დაწყება, საშუალებას მოგვცემს 2024-2030 წლებში ტურისტული ინდუსტრია კიდევ უფრო მომგებიანი გახდეს. აქ ვგულისხმობ როგორც ევროპის ქვეყნებიდან ახალი ტურისტული ნაკადების შემოსვლას, რომელიც ტრადიციულად ყველაზე მაღალი ხარჯვით გამოირჩევიან, არამედ ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის პლატფორმაზე გადასვლასაც, რაც ევროკავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტია გაწევრიანების გზაზე. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითმაც აჩვენა, რომ ინკლუზიური ზრდა საშუალებას მოგვცემს მიკრო და მცირე ბიზნესების კიდევ უფრო მეტ მხარდაჭერასაც.

როდესაც საერთაშორისო ტურიზმისა და მომსახურების არაპირდაპირ ეფექტს შევეხე, სწორედ ამ კონტექსტშია განსახილველი. როდესაც ტურისტი აქ ყიდულობს საქონელს და მომსახურებას, მათი დიდი ნაწილი იმპორტულია, რაც ამცირებს ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ეფექტს ეკონომიკაში.

მიმაჩნია, რომ ჩვენი მთავარი ამოცანაც დღეს არის პოლიტიკურ ასპექტში უკვე 2024 წელს ევროკავშირში გაწევრიანებაზე დიალოგის გახსნა, ხოლო ეკონომიკურ ნაწილში ზემოთ აღნიშნული მიწოდების ჯაჭვების ეფექტის მაქსიმალურად გამოყენება ადგილობრივი პროდუქციის წარმოებით, რაც საშუალებას მოგვცემს დასაქმების ზრდასთან ერთად, სულ უფრო მეტი უცხოური ვალუტა დარჩეს ქვეყანაში. ტურისტულ ინდუსტრიასაც ამ შემთხვევაში მოაქვს მაქსიმალური ეფექტი ეკონომიკაში. ტურიზმიდან მიღებული წმინდა შემოსავლების ზრდა, დადებითად აისახება საგადამხდელო ბალანსზე, სავალუტო კურსზეც, დასაქმებაზეც და ეკონომიკურ ზრდაზეც.

მცირე და საშუალო ბიზნესი იყო ის გენერატორი, რამაც აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებს სადაც ტურისტული ინდუსტრია ერთ-ერთი წამყვანი დარგია, საშუალება მისცა, გაწევრიანების გარდამავალ ეტაპზე, რაც საშუალოდ 6-7 წელი გაგრძელდა, თითქმის ორჯერ გაეზარდათ მთლიანი შიდა პროდუქტი, სამჯერ და მეტად შემოსავლები და მკვეთრად შეემცირებინათ უმუშევრობა, ცალკეულ ქვეყნებში 16 %-იდან 4.5%-მდეც კი, – წერს გიორგი ცუცქირიძე სოციალურ ქსელში.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ხაფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მურაზ ლეჟერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სამართალი

# კაცს, რომელმაც ავტობუსში ცოლი მოკლა, სააპელაციომ 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა

სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ავტობუსში, შვილების თანდასწრებით ცოლის მკვლელობაში ბრალდებულ როინ მებონიას 20-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. გადაწყვეტილება მოსამართლე გიორგი კერატიშვილმა ცოტა ხნის წინ გამოაცხადა.

პროკურატურა, მოკლულის დედის მსგავსად, უმკაცრესი სასჯელის გამოყენებას – უვადო პატიმრობას ითხოვდა, თუმცა, მოსამართლემ ეს მოთხოვნა არ გაითვალისწინა და როგორც თავად ახსნა, არ იყო მიზანშეწონილი უვადო თავისუფლების აღკვეთა მაშინ, როდესაც პირი არის შეზღუდული შერაცხადი.

მსჯავრდებული არ ესწრებოდა პროცესს, მიზეზი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაა, ის მკურნალობას ფსიქიკური ჯანმრთელობის დაწესებულებაში გადის.



დაცვის მხარე განმარტავდა, რომ უნდა შეწყვეტილიყო მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა, ან შემსუბუქებოდა მას სასჯელი. მთავარ არგუმენტად და მტკიცებულებად ექსპერტიზის დასკვნა მოჰყავდათ, რომლის მიხედვითაც დადგენილია, რომ როინ მებონია შეზღუდული შერაცხადია.

მოკლული სოფო კვარაცხელიას დედა ამბობს, რომ ბოლომდე იბრძოლებს და განაჩენს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებს.

– მე ბრძოლას არ ვწყვეტ. რკინის ქალამნებს ჩავიცვამ და ვიბრძოლებ, სანამ პირში სული მიდგას. ვითხოვ მაქსიმალურ სასჯელს, მივმართავ უზენაესს და ვნახოთ, რა და როგორ. თუ არა და, უზენაესზე უფრო დიდი ინსტანციებიც არსებობს. კიდევ განვმეორდები, რომ რკინის ქალამნებს ჩავიცვამ და მე მივაღწევ, დავამტკიცებ, რომ მთლად ჩალით დახურულ ქვეყანაში არ ვცხოვრობთ, – აცხადებს მოკლული ქალის დედა.

შემთხვევა გასული წლის მაისში მოხდა. როინ მებონიამ გურამიშვილის გამზირზე მოძრავ ავტობუსში ცოლს, არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, ცივი იარაღით სხეულზე მრავლობითი დაზიანება მიაყენა. შედეგად, სოფო კვარაცხელია ადგილზე გარდაიცვალა.

# „გახარია სააკაშვილისა და „ოცნებისგან“ არ განსხვავდება!“

## ლევან ალაფიშვილი: „სანამ გვარ-სახელების პოლიტიკა გვექნება, უკეთესობისკენ არაფერი შეიცვლება“

ნათია ხურცილავა

**კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***– ბატონო ლევან, გახარიას პარტიის წევრებმა მიხეილ სააკაშვილის კლინიკიდან საპატიმრო დაწესებულებაში გადაყვანა მოითხოვეს. უკვე გაკეთდა შეფასებები, რომ წინასაარჩევნოდ გახარია დისტანცირებას ცდილობს სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობისგან. ამ ვერსიას ეთანხმებით?***

– რა თქმა უნდა! რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, მრავალი მიმართულებით გაიხსნება ცეცხლი. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გახარიას კომპლექსი აქვს. მას უნდა ე.წ. შუაშისტ ამომრჩეველზე იმუშაოს. ცდილობს, „ოცნებაზე“ განაწყენებული ამომრჩეველი მიიმხროს. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მან უნდა დაგმოს სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა. ამიტომ გააკეთა მისმა პარტიამ ასეთი მკვეთრი განცხადება – სასწრაფოდ დააბრუნეთ სააკაშვილი ციხეში. ფიქრობს, ამით „ოცნების“ ყოფილი ამომრჩევლის გულს მოიგებს.

მძიმე მოცემულობაა ელექტორალურ ველზე. ყველა სოციოლოგიური კვლევით, ამომრჩევლის 60 პროცენტზე მეტი, გადაუწყვეტელია – არცერთი პარტია არ მოსწონს. ეს ძალიან მაღალი მაჩვენებლია. ამიტომ, ყველა პარტია ეცდება ამ 60 პროცენტზე იმუშაოს. თუმცა, ეს მარტივი არ იქნება. ამომრჩევლის ეს სეგმენტი სიახლის მოლოდინშია, არსებული არ აკმაყოფილებს.

მითხარით, ამ ქვეყნის მოქალაქეებისთვის, ამომრჩევლისთვის რა სიახლის შეთავაზება შეუძლია გიორგი გახარიას. ქვეყნის ყოფილ პრემიერს, რომელსაც ქვეყანაში ყველაზე მაღალი თანმდებობა ეკავა. გარდა სუბიექტისა, რა დგას მის უკან, რა იდეოლოგია, რა სიახლე, რას სთავაზობს ახალს ამომრჩეველს?! რით განსხვავდება თუნდაც იმ სააკაშვილისგან ან თუნდაც მისი ყოფილი პარტიისგან – „ოცნებისგან“?!

ვფიქრობ, 2024 წლის არჩევნებზე გახარიას პარტიას იგივე შედეგის გამეორება გაუჭირდება. ამომრჩეველი უფრო დააკლდა, ვიდრე მოემატა. ამიტომ სჭირდება ასეთი მკვეთრი განცხადებების გაკეთება.

წინასაარჩევნოდ უხვად იქნება შეგინება, ერთმანეთის ლანძღვა. როგორც ჩანს, ისევ ფიქრობენ, ვინც უფრო მაგრად შეაგინებს, ის უფრო მომგებიან პოზიციაში იქნება და უფრო მეტ ქულას აიღებს. ამაზე იქნება, სამწუხაროდ, მთელი საარჩევნო კამპანია აგებული და არა იმაზე, რა სიახლეებით მოდიან, როგორ აპირებენ ხალხის პრობლემებზე მუშაობასა და გადაჭრას. ეს არავის აინტერესებს.

***– ბატონო ლევან, შეიძლება ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდეს?***

– და როდის წავიდა?! თუ ვინმე ფიქრობს, ზარქუა და ოხანაშვილი წყვეტენ ქვეყნის საგარეო კურსსა თუ საშინაო პოლიტიკას, ეკონომიკურ პარამეტრებს, ძალიან ცდება. ივანიშვილი არსად წასულა და არც წავა. ყოველთვის იქ იქნება, სადაც დასჭირდება მას ყოფნა.

რაც შეეხება მის საჯაროდ გამოჩენას, ვფიქრობ, ეს უბრალო დამთხვევა იყო. სანამ ქვეყანაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არ იქნება მართლმსაჯულება, სანამ სახელმწიფო ინსტიტუტები დემოკრატიული, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებებით არ იმოქმედებენ, მანამდე სულ იქნება ასეთი გავლენის ფიგურების ქვეშ მთელი სახელმწიფო.

როგორია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების სისტემა, ამერიკის მაგალითზე შეგვიძლია ვთქვათ. ყოფილ პრეზიდენტს, ტრამპს ერთი შტატის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კოლორადოს შტატის, სასამართლომ არჩევნებში მონაწილეობაზე ამ კონკრეტულ შტატში უარი უთხრა. ეს არის უპრეცედენტო გადაწყვეტილება, მაგრამ მოსამართლემ მიიღო ეს გადაწყვეტილება, მორჩა და დამთავრდა. აქ პოლიტიკა არაფერ შუაშია. სანამ ასეთ სასამართლო სისტემას არ შევქმნით, ივანიშვილისნაირ ადამიანებს მუდამ ექნებათ გავლენა.

ჩვენი სისტემა, საერთოდ ჩვენი პოლიტიკა პერსონებზეა ორიენტირებული. მკვეთრად პერსონიფიცირებულია. ასე იქნება მანამ, სანამ ჯანსაღი პოლიტიკური პარტიული სისტემა არ შეიქმნება.

***– ამომრჩეველიც მესიაზეა ორიენტირებული.***

– დიახ, ეს იმიტომ, რომ სისტემა არ მუშაობს. უფრო ზუსტად კი, არ არსებობს, პიროვნებაზე დგას ყველაფერი. ასე ვერ განვვითარდებით. ამას არავითარი საერთო არ აქვს დემოკრატიასთან. დემოკრატიული მმართველობა სისტემებზე დგას და არა პიროვნებებზე, ვინც უნდა იყოს ის. ამიტომ გვაქვს გვარ-სახელების არჩევნები და არა იდეების, იდეოლოგიების, პროგრამების არჩევნები. სანამ გვარ-სახელების პოლიტიკა გვექნება, უკეთესობისკენ არაფერი შეიცვლება.

# „რუსმა და ოსმა აგრესორებმა თბილისი-გორის ტრასის ხელში ჩაგდება რომ ვერ შეძლეს, ევროკავშირის დამსახურებაა“

## ვახტანგ მაისაია: „ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით ჩვენ გვაქვს 9 სერიოზული პრობლემა. ფაქტობრივად, კანდიდატის სტატუსი ავანსად მოგვცეს“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურსა და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.**

***– ბატონო ვახტანგ, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მონიჭების ფაქტს როგორ აფასებთ? ზოგს საბჭოთა კავშირი გაახსენდა. ამის საფუძველი არსებობს?***

– ევროკავშირის წევრობა ქვეყნისთვის დადებითი მომენტია. ჩვენი ღირებულებები ევროპულია და ჩვენს ისტორიულ მისიასთან ძალიან ახლოსაა. 1918-21 წლების დემოკრატიული რესპუბლიკა ამისკენ ისწრაფვოდა და ამ მიმართულებით ყველაფერს აკეთებდა.

სამწუხაროდ, მაშინ ერთა ლიგაში, რომელიც, ფაქტობრივად, ევროკავშირის პროტოტიპი იყო, არ მიგვიღეს. შემდეგ ეს ჩვენთვის ძალიან ცუდად დასრულდა.

საბჭოთა კავშირისა და ევროკავშირის შედარება არ შეიძლება, მათ შორის დიდი განსხვავებაა. საბჭოთა კავშირის კონფედერაცია იყო, მაგრამ ტოტალიტარული ტიპის მმართველობის გაერთიანება გახლდათ, სადაც ყველა პროცესს, კონკრეტულად, ერთი პოლიტიკური პარტია მართავდა.

საბჭოთა კავშირში არსებულ რესპუბლიკებს სუვერენიტეტი როგორ ექნებოდათ, ყველანაირად ემორჩილებოდნენ ერთ იდეოლოგიურ ხაზს, ერთ პოლიტიკურ პარტიას და ერთგვარი ძლიერი რეპრესიული აპარატი ჰქონდათ. ევროგაერთიანებაში არ არის ერთი პოლიტიკური პარტია. ის სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებაა. ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს ამ გაერთიანებიდან თავისუფლად გასვლა შეუძლია, რაც ბრიტანეთმა გააკეთა.

***– დიახ, გვახსოვს ბრექსიტი.***

– დიახ. ევროგაერთიანება დემოკრატიული სახელმწიფოებისა და საზოგადოებების კლუბია, სადაც გადაწყვეტილება კონსესუსის საფუძველზე მიიღება. ერთმაც თავი რომ შეიკავოს, გადაწყვეტილება მიღებული არ იქნება, რაც საბჭოთა კავშირის პირობებში წარმოუდგენელია.

სსრკ-ში კლეპტოკრატებს ხელისუფლება უზურპირებული ჰქონდათ. ადამიანების ერთი გაერთიანება 160 მილიონი ადამიანის ბედს განაგებდა. ევროგაერთიანებაში ადამიანების ბედს თვითონ სახელმწიფოები და ამ სახელმწიფოებიდან გამოსული საზოგადოების წარმომადგენლები წყვეტენ. ეს არის ევროპარლამენტი, ევროჩინოვნიკები, რომლებიც ეროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები არიან.



***– უსაფრთხოების თვალსაზრისით, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება რას მოგვცემს?***

– ევროკავშირი არის ეკონომიკურ-პოლიტიკური გაერთიანება. საქართველოში ეკონომიკური რესურსების შემოსვლა და პოლიტიკური ინსტრუმენტების გაძლიერება, უსაფრთხოების გარემოს გაძლიერების ტოლფასია.

თუ შენ გაქვს ძლიერი ეკონომიკა და სტაბილური პოლიტიკური ინსტიტუტები, ეს უკვე იმის წინაპირობაა, რომ შენ გექნება ძლიერი სახელმწიფო, უსაფრთხოების, თავდაცვისა და ეკონომიკური ყსაფრთხოების მძლავრი სისტემები.

სისტემა უნდა იყოს ძლიერი. პოლიტიკური სისტემა უნდა იყოს სტაბილური ძლიერი და მდგრადი. როდესაც დღეს მთავარი პირობა დეპოლარიზაციაა, საქართველოში კი გაუტანლობა, პოლიტიკური შუღლი და დაპირისპირებაა არა მარტო მმართველ პოლიტიკურ ძალასა და ოპოზიციას შორის, არამედ თვითონ ოპოზიციის შიგნითაც (ალბათ, მმართველების წიაღშიც არიან ინტერფრაქციული დაჯგუფებები), ეს პირდაპირპროპორციულად ასუსტებს სახელმწიფოს უსაფრთხოების სისტემას და, ბუნებრივია, მოწყვლადობის პირობებს ქმნის.

ილია ჭავჭავაძისეული ძველი ფრაზა: ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო, სწორედ ეს არის. ჩვენი ევროპელი მოკავშირეები გვეხმარებიან, რომ ჩვენი თავი ჩვენ გვეკუთვნოდეს, ჩვენ თვითონ ავაგოთ ჩვენი უსაფრთხოების სისტემა, სადაც საქართველოს თითოეული მოქალაქე თავს დაცულად იგრძნობს – მისი სიცოცხლისა და ფიზიკური არსებობის პირობები დაცული და გარანტირებული იქნება.

მეორეც – ჩვენს გეოსტრატეგიულ გარემოში ევროკავშირის სამხედრო მონიტორინგის მისია დიდ როლს ასრულებს იმისათვის, რომ რუსებმა, ოსმა და აფხაზმა სეპარატისტებმა ჩვენი ტერიტორიების შიგნით არ იბოგინონ.

***– დიახ, ევროკავშირის სამხედრო მისია წლებია მონიტორინგს ატარებს. თუმცა, მცოცავი ოკუპაცია გრძელდება.***

– მათ დიდი როლი ითამაშეს არსებული ვითარების დეესკალაციაში. მცოცავ ოკუპაციას ძირფესვიანად ვერ შეაჩერებენ, მაგრამ რუსმა და ოსმა აგრესორებმა თბილისი-გორის ტრასის ხელში ჩაგდება რომ ვერ შეძლეს, სწორედ ევროკავშირის სამხედრო მონიტორინგის მისიის დამსახურებაა.

***– ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებას საქართველოში ნატოს გენმდივნის წარმომადგენლის ჰავიერ კოლომინას ვიზიტი მოჰყვა. არსებულ კონტექსტში მისი ვიზიტი სხვა ელფერს არ იძენს?***

– ბუნებრივია, იმიტომ, რომ ჩვენთან ევროინტეგრაცია და ევროატლანტიკური ინტეგრაცია კონსტიტუციურ პრივილეგიადაა ქცეული. როდესაც ევროინტეგრაციას ვავითარებთ და ვაძლიერებთ, ეროატლანტიკური ინტეგრაციაც უნდა იყოს აღზევებული,

არ გამოვრიცხავ, ნატოსა და საქართველოს შორის საუბარი ყოფილიყო ჩვენი ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაძლიერებაზე, რომელიც ძალიან შესუსტდა. ნატოს მიმართულებით გაცილებით უკან ვართ. კი, ერთობლივი წვრთნები ტარდება, მაგრამ ზღვაში წვეთია.

***– ანუ ამ წვრთნებსა და სხვა აქტივობებს არ ეძლევა მსვლელობა წევრობის მიმართულებით?***

– თუნდაც. ევროინტეგრაციის მიმართულებით პროგრესი გვაქვს. ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიმართულებით კი, სამწუხაროდ, ასეთი პროგრესი არ ფიქსირდება. ალბათ, საუბარია მაპის სტატუსის მოცემაზე, რომ ამ კუთხით წინ წავიწიოთ.

***– იმ ვითარებაში, რაც დღეს მსოფლიოშია, შეიძლება მაპი მოგვანიჭონ?***

– ვერ გეტყვით, მაპის მონიჭება ჩვენზეა დამოკიდებული და არა ნატოზე. მაპის სტატუსი 5 ძირითად კომპონენტს მოიცავს, რომელიც კარგად უნდა გქონდეს შესრულებული – პოლიტიკური და სამხედრო მიმართულებები, რესურსების მართვა, სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემა და სამართლებრივი სისტემა. თუ ამ ხუთი მიმართულებით ფესვები კარგად გადგმული გვექნება, სტატუსის მიღების რეალური კანდიდატი გავხდებით.

***– ევროკავშირის კანდიდატობა ამ ხუთი პუნქტის შესრულებას ხელს არ შეუწყობს?***

– ყველა შემთხვევაში ხელს უწყობს პოლიტიკური და სამართლებრივი მიმართულებით გაძლიერებას. ევროპული ინტეგრაციის მიმართულებით ჩვენ გვაქვს 9 სერიოზული პრობლემა. ფაქტობრივად, კანდიდატის სტატუსი ავანსად მოგვცეს.

***– თქვენც ასე ფიქრობთ? ევროკავშირის ქვეყნების ლიდერები ხომ აცხადებდნენ, რომ საქართველომ შეასრულა მიცემული დავალება, პროგრესი აქვსო. 9 სერიოზული დავალება კი აწი უნდა შევასრულოთ, ანუ 2028-30 წლამდე?***

– საკითხავია, შევასრულებთ? დღევანდელი პარლამენტი და დღევანდელი ხელისუფლება მისი შემსრულებელი არ არის. ახალი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს და ახალი პარლამენტი უნდა შეიკრიბოს. ვნახოთ, 2024 წელს როგორი პარლამენტი შეიკრიბება.

***– რეალურად, ისევ იმ პოლიტიკური სპექტრიდან გვიწევს არჩევანის გაკეთება, ახალი პარლამენტის არჩევა, რაც დღეს არსებობს.***

– რა თქმა უნდა. მომავალი პარლამენტია ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი.

***– როგორ ფიქრობთ, ნატოს გენმდივნის წარმომადგენელმა კოლოვინამ რა გზავნილი ჩამოიტანა?***

– მე მგონი, ეს არის რეგიონალური ტურნე, აქედან ან სომხეთში წავა ან აზერბაიჯანში.

***– ანუ კოლოვინას სათქმელი არაფერი ჰქონდა და უბრალოდ ჩამოიარა?***

– ილაპარაკებდა, დღევანდელი ხელისუფლება ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე რა პოლიტიკის გამტარებელია, იმიტომ, რომ ევროინტეგრაციაზე მუშაობა მიდის, მაგრამ ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე რა სამუშაო ხორციელდება, თქმა რთულია – მუშაობა შესუსტებულია. შეიძლება ამისთვის ჩამოვიდა, უნდა გაარკვიოს, სად ვართ.

# ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის შეფასებები მომავალ არჩევნებზე ერთმანეთის საწინააღმდეგოა

მარიამ მჭედლიშვილი

**2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე არც ისე დიდი დრო რჩება. ვენეციის კომისიიდან და ოდირიდან მიღებული შენიშვნები და რეკომენდაციები საარჩევნო თემაზე იმის საპირისპიროა, რასაც მმართველი გუნდი ამტკიცებს.**



## კრიტიკა ევროპიდან

რეკომენდაციები ეხება საფუძვლიან საარჩევნო რეფორმას, რომელიც, ევროპელი სპეციალისტების შეფასებით, საქართველოში არ გატარებულა. ის, რაც განხორციელდა, ფრაგმენტულია და ზოგ შემთხვევაში – მისაღები, ზოგში – მიუღებელი ან არასრულყოფილი. მაგალითად, რეკომედაციების თანახმად, უმჯობესია, ცესკოს თავმჯდომარე აირჩიონ ხმების უფრო ნაკლები რაოდენობით, შეთანხმების საფუძველზე.

გამოთქმულ შენიშვნებს „ქართული ოცნება" თავისებურ ახსნას უძებნის.

– ვენეციის კომისიის მხრიდან სწორება არის პოლიტიკურ პარტიებს შორის პოლიტიკურ შეთანხმებაზე. ამაში გასაკვირი არაფერია, – აცხადებს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი.

მისი თქმით, პოლიტიკური თანხმობის არარსებობა საქართველოში ოპოზიციის ბრალია:

– გათვალისწინებული უნდა იყოს კონტექსტი, რომ მმართველ გუნდს არ უწევს ისეთ მოცემულობაში მუშაობა, როცა ოპოზიციას აქვს იმის რესურსი და გამბედაობა, კარგზე თქვას, კარგიაო.

თავისუფალი, სამართლიანი, კონკურენტული არჩევნების ჩატარება ყოველთვის შედიოდა დასავლეთის რეკომენდაციებში. ამჯერად ეს პუნქტი ერთ– ერთია 9 დათქმას შორის, რომელიც საქართველომ ევროკომისიის მოთხოვნით უნდა შეასრულოს. საქართველოს მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ნატოს ოფიციალური პირებიც ამახვილებენ ყურადღებას.

– ჩვენთვის დემოკრატია ფუნდამენტურია და ალიანსისთვის ფუნდამენტური ღირებულებაა. არჩევნები დემოკრატიის შემადგენელი ნაწილია, რომელიც უნდა ტარდებოდეს სამართლიანი, კონკურენტული გზით. ეს არის გზავნილი, რომელიც გადავეცი პრეზიდენტს, პრემიერს, – განაცხადა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენმდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა ხავიერ კოლიმინამ საქართველოში ვიზიტისას.

საზოგადოებას საუკეთესო არჩევნებს ჰპირდება „ქართული ოცნების" თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე.

**ირაკლი კობახიძე:**

– ჩვენ კარგად მომზადებული ვხვდებით საპარლამენტო არჩევნებს. პირობას ვაძლევთ საზოგადოებას, რომ არჩევნები ჩატარდება გამართულად, ისე, რომ არავის მისი რაიმე ფორმით გაკრიტიკების საფუძველი არ ექნება. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ სამართლიანი, კონკურენტული არჩევნების ჩატარებაზე. შემოდის ელექტრონული კენჭისყრის წესი. ამომრჩეველთა რეგისტრაცია განხორციელდება ელექტრონული წესით, რაც ძალიან მნიშვნელოვანი სიახლეა... არჩევნების დღისთვის რაც იყო პრობლემური და სასპეკულაციო საკითხი, ყველაფერი პრაქტიკულად ერთი ხელის მოსმით მოგვარდა იმ საკანონმდებლო ცვლილებებით, რომელიც განხორციელდა.

## ევროკავშირის სტატუსი არჩევნების წინ

არჩევნები გაიმართება ახალ გარემოებაში. შეგახსენებთ, რომ 14 დეკემბერს საქართველო ოფიციალურად გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა. საქართველოს ლამის ყველა პოლიტიკოსი აღიარებს, რომ ეს საქართველოს საზოგადოების მიღწევაა. ამასთან, პარტიები ცდილობენ, ეს დამსახურება მიიწერონ.

ამასთან, გამოითქმის მოსაზრებები, რომ ეს არის დიდი შესაძლებლობა, რომელსაც ახლანდელი მმართველი გუნდი ვერ გამოიყენებს.

– კანდიდატის სტატუსს ვადარებ გასაღებს მანქანის გარეშე და თუ ჩვენ არ ავირჩიეთ მთავრობა, რომელიც პირობებს შეასრულებს და რეფორმებს გაატარებს, გასაღები დარჩება გასაღებად, – ამბობს პარტია „ხალხისთვის" ლიდერი ანა დოლიძე.

– არ ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნების" შანსები ამ სტატუსით გაიზარდა არჩევნებზე. პირიქით. ევროკავშირმა აჩვენა თავისი ძალა, ურყევი ნება, რომ ის არ ამბობს უარს საქართველოზე და ნამდვილად იბრძოლებს საქართველოსთვის, – მიიჩნევს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, „საფარის" ხელმძღვანელი ბაია პატარაია.

მისი დასკვნით, ამჟამად მმართველ პარტიასაც და ოპოზიციასაც მძიმე დრო უდგათ:

– გავიდა 11 წელი და ვხედავთ, რა მოგვიტანა „ქართულმა ოცნებამ". მიმაჩნია, რომ სერიოზული კრიზისია ოპოზიციურ ფლანგზე. ოპოზიცია, ჯერჯერობით, არასახარბიელოდ არის წარმოდგენილი. მათ უნდა გადახედონ თავიანთ პოლიტიკას, უნდა გადახედონ იმას, ერთიანად წარდგებიან თუ არა არჩევნებზე.

## ცვლილებების მცდელობა არჩევნების წინ

პოლიტიკურ ველზე ძირეული ცვლილებები წინასაარჩევნოდ ჯერ არ იკვეთება. ოპოზიციის დიდი ნაწილის გაერთიანება, როგორც ჩანს, ვერ მოხდება.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შეძლებისდაგვარად გამოცოცხლებას ცდილობს კლინიკა „ვივამედში" მყოფი ექსპრეზიდენტი სააკაშვილი. მისი ინიციატივა უკავშირდება ერთობის კომიტეტის შექმნას, სადაც, პარტიის ლიდერების გარდა,თ შევლენ საზოგადოების ცნობილი სახეები და დიასპორის წარმომადგენლები.

ნაციონალური მოძრაობიდან ნიკა მელიას საკმაო რაოდენობის ხალხი გაჰყვა. მელიას გაცხადებული აქვს, რომ ახალ პარტიას ჩამოაყალიბებს. ახალი ორგანიზაცია არავისთან შერწყმას არ გეგმავს.

აქტიურობას განაგრძნობს პრეზიდენტი ზურაბიშვილი. დიდი ალბათობით, არჩევნების წინ ის გადადგება და სათავეში ჩაუდგება დიდ გაერთიანებას, სადაც იქნებიან როგორც პოლიტიკური პარტიები, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ცალკეული პოლიტიკოსები.

ბიძინა ივანიშვილის ამ დღეებში საჯარო სივრცეში გამოჩენამ გამოიწვია ახალი მითქმა-მოთქმა და პროგნოზები.

ერთ-ერთი ვერსიით, ივანიშვილი აქტიურ პოლიტიკას მესამედ დაუბრუნდება და „ქართულ ოცნებას" არჩევნებში დიდ უპირატესობას მოაპოვებინებს. მეორე ვერსიით, ის წინასაარჩევნოდ ხანდახან გამოჩნდება და „ოცნებას" ამომრჩეველს გაუზრდის. კიდევ ერთი ვერსიით, ბიძინა ივანიშვილი თავშეკავებულად იაქტიურებს სხვა ძალის სასარგებლოდ.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „პენსიები კვლავ გაიზრდება — 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთათვის 50 ლარით, 415 ლარი გახდება, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 500 ლარი"

– წელს დიდი ტრაგედია მოხდა შოვში, ასევე დიდი პრობლემა და ტრაგედია ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში. მომხდარი სტიქიური უბედურების გამო დაზარალებული ოჯახების მხარდასაჭერად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 10 მილიონ ლარი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის მუშაობის 2023 წლის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

პრემიერის თქმით, ჯამში 30 მილიონი ლარი დაიხარჯება იმისთვის, რომ არცერთი დაზარალებული ოჯახი არ დარჩეს სახლების გარეშე.

– წელს დიდი ტრაგედია მოხდა შოვში, ასევე დიდი პრობლემა და ტრაგედია ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში. მომხდარი სტიქიური უბედურების გამო დაზარალებული ოჯახების მხარდასაჭერად საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 10 მილიონ ლარი. ჯამში 30 მილიონი ლარი დაიხარჯება იმისთვის, რომ არცერთი დაზარალებული ოჯახი არ დარჩეს სახლების გარეშე, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, წელს უკვე 549 დევნილ ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი ფართები ახალაშენებულ კორპუსებში.

– 2024 წლიდან ვიწყებთ უსახლკარო, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მრავალშვილიანი ოჯახების განსახლების მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამას. 1.000 უსახლკარო ოჯახის განსახლების სახელმწიფო 50.000.000 ლარს გამოყოფს. შედეგად, რეგიონებზე მაქვს საუბარი, არცერთი უსახლკარო ოჯახი აღარ იქნება ჩვენს ქვეყანაში. სულ რაღაც 2 წელიწადში ამ პროგრამას დავასრულებთ.

დევნილებზე მინდა მოგახსენოთ. აქაც საკმაოდ დიდი კონტრასტი გვაქვს, რა დაგვხვდა და რა არის დღეს. დამეთანხმებით, რომ საკმაოდ დიდი პროგრესი გვქონდა ამ მიმართულებით.

დევნილთა ბიუჯეტი 2012 წელს იყო 25 მილიონი ლარი. წელს უკვე 267.000.000 ლარია დევნილთა ბიუჯეტი, ანუ გაათმაგებულია თითქმის.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ეფუძნება ეროვნულ ინტერესებს, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, ბუნებრივია, ოკუპაციაა და ჩვენი ტერიტორიების მშვიდობიანი დეოკუპაცია არის მთავრობის გაცხადებული მიზანი.

– რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას – მთავარი საგარეო პოლიტიკის და ზოგადად ჩვენი ქვეყნის მთავარი მონაპოვარი, ბუნებრივია. არის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვება. ეს არის დიდი გამარჯვება, მათ შორის ჩვენი დიპლომატიური კორპუსის და მე მინდა ჩვენს საგარეო უწყებას მადლობა გადავუხადო და პირადად მინისტრს, ჩვენს დიპლომატებს.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი იყო ის პოლიტიკა, რომელიც შემუშავდა 2012 წლიდან დღემდე. ჩვენი პოლიტიკა, რა თქმა უნდა, ეფუძნება ეროვნულ ინტერესებს, კიდევ ვიმეორებ. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, ბუნებრივია, ოკუპაციაა და ჩვენი ტერიტორიების მშვიდობიანი დეოკუპაცია არის ჩვენი გაცხადებული მიზანი.

ჩვენ გაცხადებული გვაქვს სტრატეგიული მოთმინების პოლიტიკა და ჩვენ აქაც, რა თქმა უნდა, ვხელმძღვანელობთ სწორედ




ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. მინდა ასევე ვთქვა, რომ ბოლო 10 წელში უმაღლეს დონეზე გადავიდა პარტნიორული ურთიერთობები ჩვენს ევროპელ მეგობრებთან, ევროპის სახელმწიფოებთან. დაფუძნდა ორმხრივი სტრატეგიული თანამშრომლობის მაღალი დონის ფორმატები, მათ შორის, საფრანგეთთან, გაერთიანებულ სამეფოსთან, იტალიასთან, პოლონეთთან.

ასევე, ჩვენს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან არის მაღალ დონეზე ჩვენი ურთიერთობები და პარტნიორობა. მინდა კიდევ ერთხელ ვისარგებლო შემთხვევით და ჩვენს პარტნიორებს მადლობა გადავუხადო ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერისთვის, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა ინარჩუნებს მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობებს რეგიონში პარტნიორებთან – აზერბაიჯანთან, სომხეთთან, თურქეთთან.

– ისტორიული მნიშვნელობის იყო ჩემი ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, სადაც გავემგზავრე ჩინეთის პრეზიდენტის მიწვევით და ჩვენ შევთანხმდით და გავაფორმეთ ერთობლივი დეკლარაცია, შედეგად სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ სტრატეგიული პარტნიორობის დონეზე აწიონ ურთიერთობა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა წლიური ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ასევე ისაუბრა ცენტრალური აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და სპარსეთის ყურის ქვეყნებთან არსებულ წარმატებულ თანამშრომლობაზე.

– 2012 წელს სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი იყო 647 ლარი, ხოლო იანვრიდან გათვალისწინებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა, პოლიციელების, ჯარისკაცების ხელფასების კიდევ 10%-იანი ზრდა და შედეგად 1.500 ლარს მიაღწევს საშუალო ხელფასი. აქაც, გაორმაგებულია საშუალო ხელფასი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის მუშაობის 2023 წლის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა.

პრემიერის თქმით, მომდევნო წლიდან პენსიები კვლავ გაიზრდება 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთათვის.

– საპენსიო ფონდის თაობაზე მინდა ინფორმაცია მოგაწოდოთ განახლებული, რომ 30 ნოემბრის მდგომარეობით, საპენსიო ფონდში აკუმულირებულია 4.2 მლრდ ლარი. წელს გაიზარდა ასაკობრივი პენსიები; მოსარგებლეა 830 ათასამდე პენსიონერი.

მომდევნო წლიდან პენსიები კვლავ გაიზრდება და 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთათვის 50 ლარით გაიზარდა პენსია, გახდება 415 ლარი, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში 500 ლარამდე გახდება პენსია 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერთათვის.

70 წლამდე პირთა პენსია იქნება 315 ლარამდე, ხოლო მაღალმთიან რეგიონებში 380 ლარი.

– ბატონი ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით განხორციელდა ეს რეფორმა და საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიხედვით, პროგრამის დაწყებიდან 3 მილიონ მოქალაქეს დაუფინანსდა 11 მილიონზე მეტი სამედიცინო შემთხვევა, – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერის თქმით, 7 მილიარდი ლარი იქნა გადახდილი ბიუჯეტიდან ბოლო 11 წელიწადში.

– ახლა მინდა გადავიდე ჯანდაცვის მიმართულებით და მოკლედ შევეხები ჩვენს მიერ გაწეულ სამუშაოებს და იმ ძირითად რეფორმებს, რამაც მოიტანა კონკრეტული შედეგები ჩვენი მოქალაქეებისთვის. 2012 წლამდე მოგეხსენებათ, რომ არ არსებობდა საყოველთაო ჯანდაცვა და ასე ვთქვათ არსებობდა რაღაც პროგრამა, რომელიც მოიცავდა ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 38 პროცენტს.

ასევე, მინდა ვთქვა, რომ ჯანდაცვის ბიუჯეტი კიდევ უფრო გაიზარდა 2023 წელს და 2024 წელში კიდევ უფრო გაიზრდება, მე მინდა შედარებისთვის გითხრათ, რომ 2012 წელს ჯიბიდან გადახდები მოქალაქეებს ქონდათ დაახლოებით 74 პროცენტამდე. 2022 წელს 30 პროცენტამდე შემცირდა მოსახლეობის მიერ ჯიბიდან გადახდები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩვენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მივიღეთ რამდენიმე წლის წინ, როდესაც დავუნიშნეთ ყოველთვიური დახმარება სოციალურად დაუცველ ბავშვებს, 200 ლარიან დახმარებას იღებს 200 ათასზე მეტი ბავშვი, ჯამური ბიუჯეტი შეადგენს 500 მილიონ ლარამდე;

მინდა ასევე ვთქვა, რომ ჩვენ ამ მიმართულებით გავაგრძელებთ კიდევ ბიუჯეტის ზრდას, როგორც კი გვექნება ამისი საშუალება, – განაცხადა პრემიერმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, 2012 წლის 9 თვის მონაცემებით დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 28% იყო, 2023 წელს 63% და რადიკალურად არის შემცირებული დანაშაულის მაჩვენებელი.

– მინდა მადლობა ვუთხრა ვახტანგ გომელაურს და ყველა პოლიციელს ღირსეული სამსახურისთვის, ბოლო 11 წელიწადში არაერთი ხელშესახები რეფორმა განვახორციელეთ, სახეზე გვაქვს ჩვენი საამაყო პოლიცია, – განაცხადა პრემიერმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, პოლიციელების ხელფასების ზრდა დაიწყო და მომავალშიც გაგრძელდება, ბოლო ორ წელიწადში სახეზეა 50%-იანი ზრდა.

მთავრობის მეთაურის თქმით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რეფორმა არის მიწის სისტემური რეგისტრაცია, რომელიც ჩვენ შარშან დავიწყეთ და უკვე დარეგისტრირდა 450.000-ზე მეტი მიწის ნაკვეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ იწყებოდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის შეიქმნა

**კრემლი ძირძველი ქართული მიწების საერთაშორისო „აღიარებასაც“ ესწრაფვის. ოკუპანტები და ადგილობრივი მარიონეტები იქამდე გათავხედდნენ, რომ ქართველ ბავშვებს საკუთარი ეზოებიდან იტაცებენ და ცხინვალის დილეგებში ამწყვდევენ. თუ როგორ იწყებოდა და ვითარდებოდა ე.წ. სამხრეთ ოსური კონფლიქტი, ამაზე „გუმბათთან“ გამსახურდიას დროინდელი ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა საუბრობს. გთავაზობთ ინტერვიუს.**

**თენგიზ სიგუა:**

– ყველაფერი ჯერ კიდევ 1989 წლიდან მზადდებოდა. მაშინ უკვე ნათელი იყო, რომ საბჭოთა კავშირი სულს ღაფავდა. საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში იყო ცნობილი ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, რომელიც აკადემიკოს ბრომლეის სახელს ატარებდა. სსრკ-ს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და უშიშროებამ (კაგებემ) სწორედ ამ ინსტიტუტს მისცეს შემდეგი დავალება – კავშირის დაშლის შემდეგ რა ღონისძიებები უნდა ჩაეტარებინა მოსკოვს, რომ თავის ორბიტაზე აწ უკვე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები შეენარჩუნებინა.

ამ ინსტიტუტში მართლაც ძალიან ძლიერი სამეცნიერო ძალები იყო თავმოყრილი. იქ ყველაზე კარგად იცოდნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ერების ფსიქოლოგია, მათ შორის ეთნოფსიქოლოგიაც. ამ ინსტიტუტმა დავალება „პირნათლად“ შეასრულა. თუმცა მის დოკუმენტს ედო გრიფი „სრულიად საიდუმლოდ“, მე მაინც მომეცა საშუალება და ამ დოკუმენტის შინაარსი გამაცნეს.

***– რა ძირითად მიმართულებებს მოიცავდა აღნიშნული დოკუმენტი?***

– სულ 18 პუნქტიანი დოკუმენტი იყო, მაგრამ მოკლედ გეტყვით, რა რეკომენდაციები დგას მის უკან: პირველი – იმისთვის, რომ რესპუბლიკები კრემლის ორბიტაზე შენარჩუნდნენ, ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ახლავე უნდა შეიქმნას ე.წ. ინტერ-ფრონტები. იგულისხმებოდა, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში გარდა ავტოქტონური მოსახლეობისა ცხოვრებენ სხვა ერებიც. მათ საერთო საკომუნიკაციო ენა რუსული ჰქონდათ. ამიტომ ეს ერები ინტერ-ფრონტებში უნდა გაერთიანებულიყვნენ ადგილობრივი ხელისუფლებების წინააღმდეგ.

ამ რეკომენდაციამ ბევრ რესპუბლიკაში იმუშავა. მაგრამ საქართველოში მან ვერ ჰპოვა ისეთი ძლიერი დასაყრდენი, რომ ამ ინტერ-ფრონტს გაემართლებინა. ამიტომ საქართველოში მოქმედებაში შევიდა მეორე პუნქტი. იგი გულისხმობდა ავტონომიური წარმონაქმნების დაპირისპირებას ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ამან საქართველოში „კარგად“ იმუშავა.

***– რა ნაბიჯებით დაიწყო ეს ყველაფერი?***

– 80-იანი წლების დასასრულს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა საკუთარ თავს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიანიჭა. ამის საპასუხოდ საქართველოს იმჟამინდელმა პარლამენტმა, რომელსაც უზენაესი საბჭო ერქვა, მიიღო დადგენილება და საერთოდ გააუქმა ოსეთის ავტონომია. ოთხი ადმინისტრაციული რაიონი, რისგანაც ეს ოლქი შედგებოდა, საქართველოს ჩვეულებრივ რაიონებად გამოაცხადა.

დღესაც რომ მკითხოთ, სავსებით გამართლებულად მიმაჩნია ეს გადაწყვეტილება. არასოდეს ოსეთს რაიმე ავტონომიური წარმონაქმნი საქართველოს ტერიტორიაზე არ ჰქონია. იგი შექმნეს ბოლშევიკებმა. სახლში მაქვს ისტორიული რუკა, 1893 წელს გამოცემული რუსეთში, მოსკოვში. ამ რუკაზე თვალნათლივ ჩანს, რომ ცხინვალი არის გორის მაზრის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი, მეტი არაფერი. ამიტომ უზენაესი საბჭოს მაშინდელი გადაწყვეტილება სავსებით გამართლებულად მიმაჩნია. თუ ამ საკითხში მომავალში სხვა გზით წავალთ, ეს საქართველოს დაღუპავს.

***– უფრო კონკრეტულად?***

– არავითარ შემთხვევაში არ ვარ იმის მომხრე, რომ სამხრეთ ოსეთს პოლიტიკური ავტონომიის სტატუსი აღუდგეს. ახლა მეორე ფაქტორსაც გეტყვით.საქართველოში ცხოვრობს 150 ათასი ოსი, აქედან ავტონომიაში მხოლოდ 50 ათასი ცხოვრობდა. დანარჩენი 100 ათასი ოსი მთელ საქართველოში ცხოვრობს. რის საფუძველზე უნდა ჰქონოდათ ცხინვალში ავტონომია? ეს ბოლშევიკების დანაშაული იყო გამომდინარე შედეგებით. კულტურული ავტონომია კი ბატონო, მაგრამ პოლიტიკურ-ტერიტორიული ავტონომიის აღდგენა დაუშვებელია. ეს ისევ ნელი მოქმედების ნაღმი იქნება საქართველოს მიწაში ჩადებული.

***– ავტონომიის გაუქმების გადაწყვეტილების შემდეგ, იქ ქართული მილიციის ნაწილების შეყვანა რამდენად გამართლებული იყო?***

– ამის შემდეგ იქ დაიწყო წინააღმდეგობები, მათ შორის შეიარაღებული წინააღმდეგობებიც. ამიტომ საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება იქ პოლიციის ძალების შეყვანის შესახებ. შევიდნენ საკუთრივ პოლიციის ძალები და პოლიციის აკადემიის სტუდენტები. ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა ჩვენი პოლიციის გენერალი, აწ გარდაცვლილი გივი კვანტალიანი. გენერალმა კვანტალიანმა ისე მოახერხა, რომ იქ წინააღმდეგობა მთლიანად დაძლეული იქნა და დამყარდა სიმშვიდე.

***– ამის შემდეგ რატომ შეიცვალა სიტუაცია ჩვენთვის არასასიკეთოდ?***

– უდიდესი შეცდომა ის იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს გივი კვანტალიანმა მიიღო ბრძანება, თავისი პოლიციური ძალების ცხინვალიდან




გამოყვანის თაობაზე. იქ საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარები შევიდა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ოსების მნიშვნელოვანი გააქტიურება საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ. არავითარ შემთხვევაში ეს არ უნდა მომხდარიყო და იგი დიდ შეცდომად მიმაჩნია.

ამის შემდეგ ოსებმა უკვე გათავხედება დაიწყეს. შეიარაღებულ თავდასხმებს ახორციელებდნენ. თუმცა ჩვენც ხელს არ ვაკლებდით. ჩვენი მხრიდანაც იქ საკმაოდ ძლიერი სამხედრო ოპერაციები იყო ჩატარებული. ყოველივემ მიგვიყვანა იმ სიტუაციამდე, რაც დღეს არის რეალურად.

***– რა როლი ითამაშა მდგომარეობის აქამდე მიყვანაში დაგომისის ცნობილმა შეთანხებამ?***

– კიდევ ერთი დიდი შეცდომა, რაც ჩვენ დავუშვით, ეს იყო დაგომისის ცნობილი ხელშეკრულება. რუსეთი რომ ჩვენს წინააღმდეგ გამოდიოდა, ეს ხომ ყველასთვის ცნობილი იყო? რუსები ყველა რესპუბლიკაში ისეთი გარდაქმნების განხორციელებას ცდილობდნენ, რომ თავის ორბიტაზე დაეტოვებინათ ისინი საბჭოეთის დაშლის შემდეგაც. ასეთივე მცდელობა აქაც იყო და ეს ჩვენ ყველამ ვიცოდით. მაგრამ 1993 წელს უცებ დაგომისში ხელი ეწერება ხელშეკრულებას და რუსები ინიშნებიან მომრიგებელ-მოსამართლეებად. არ ვიცი, ეს უკვე შეცდომაა, თუ დანაშაული ქვეყნის წინაშე. ანუ დაინტერესებული მხარე ინიშნება მომრიგებლად. ამის შედეგად ისინი 2008 წლამდე ამ ე.წ. სამშვიდობო მისიას ასრულებდნენ. თუმცა დაგომისის დოკუმენტში შავით თეთრზე ეწერა, რომ იქ დსთ-ს სამშვიდობო ძალები უნდა ყოფილიყვნენ. მაგრამ შესანიშნავად ვიცით, რომ იქ არცერთი უკრაინელი, ყაზახი, უზბეკი და მოლდაველი არ ყოფილა. მხოლოდ რუსული ძალები იყვნენ.

დღეს ისინი უკვე თავხედურად სამხედრო ბაზებს ხსნიან, შეაქვთ და და შეაქვთ სამხედრო შეიარაღება. ეს იმის შედეგია, რომ ჯერ კიდევ 1993 წელს უნდა მოგვეთხოვა საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ჩარევა ჩვენს შიდა კონფლიქტებში. რუსეთი სამშვიდობო მოლაპარაკების ერთ-ერთ მხარედ არანაირად არ უნდა გვეღიარებინა. თავიდანვე არ უნდა მიგვეცა მათთვის აფხაზეთში და ცხინვალში კონტროლის განხორციელების საშუალება.

***– რატომ ვერ შეცვალა ამ მხრივ პოლიტიკა ჩვენს სასარგებლოდ სააკაშვილის ხელისუფლებამ?***

– ძალიან ბევრი შეცდომები იყო დაშვებული. ხომ გახსოვთ 2005 წელს იქ რა მოხდა? შევიყვანეთ სამხედრო ძალები და სასტიკად დავმარცხდით. ალბათ გემახსოვრებათ საშინელი კადრები, როდესაც დაჩოქილი და თავზე ხელებშემოჭდობილი ორმოცდაათი სამხედრო დააპატიმრეს. ასეთი სამარცხვინო კადრი ჩვენ უახლოეს ისტორიაში არ ყოფილა.

მაშინაც აბსოლუტურად მოუმზადებელი ოპერაცია იყო. დღესაც გაუგებარია, რატომ ჩაატარეს ის ოპერაცია. იგივე მოხდა შარშან, 8 აგვისტოსაც. ძალიან დეტალურად რომ შევისწავლე ის ამბები, ერთ დასკვნამდე მივედი. მეჩვენება, რომ შეერთებული შტატების ჩუმი თანხმობა იყო, რომ ქართველებს ცხინვალში სამხედრო ოპერაცია დაეწყოთ. ამაზე ორი ფაქტორი მიუთითებს: თუ გახსოვთ, ცოტა დაგვიანებით პრეზიდენტმა სარკოზიმ თქვა, რომ როდესაც ეს ომი დაიწყო, ამერიკის პრეზიდენტმა ბუშმა დამირეკა და მითხრა, რომ ნუ ჩაერევი, რუსები თბილისში შევიდნენო. ე.ი. ბუშს უნდოდა, რომ რუსები თბილისში შესულიყვნენ; ეს ყოველივე ხდებოდა, რა თქმა უნდა, საქართველოს ხარჯზე. მაგრამ მორალურად დასავლეთი მთელს მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაანახვებდა რუსეთის სახეს. მორალურად ბუში რასაკვირველია გამარჯვებული იქნებოდა, მაგრამ ვის ხარჯზე კეთდებოდა ეს? რასაკვირველია საქართველოს ხარჯზე.

მეორე – როდესაც გავიგეთ, რომ ევროკავშირი და აშშ დახმარების სახით 4,5 მილიარდს გამოგვიყოფდა, დავიწყე ამ საკითხის შესწავლაც; ამხელა დახმარება ჩვენი დონის სახელმწიფოს არასოდეს, არავისგან არ მიუღია. ერთადერთი ეს არის ისრაელი, რომელიც ყოველთვის დიდ დახმარებას იღებს ევროპისგან და შეერთებული შტატებისგან. სხვა ასეთი მაგალითი არ არის. ეს მომენტიც იმაზე მიუთითებს, რომ დასავლეთმა და შეერთებულმა შტატებმა შინაგანად აღიარეს თავისი ვალდებულება და ამიტომ გამოყვეს ამხელა თანხა. ეს ფაქტორი იმაზე მიუთითებს, რომ ამერიკის ხელმძღვანელობის ჩუმი თანხმობა იყო ამ აქციაზე.

უნდა დაენახვებინათ მსოფლიოსთვის, რომ აი გავიდა ოცი წელი სსრკ-ს დაშლის შემდეგ, თითქოსდა რკინის ფარდა უკვე მოიშალა, მაგრამ რუსეთმა ბოლო დროს ისევ დაიწყო მიუღებელი ნაბიჯების გადადგმა და მას ჭკუა უნდა ვასწავლოთო; ერთ-ერთი სახე ამ ჭკუის სწავლების ის იყო, რომ სწორედ საქართველოს ხარჯზე დაენახვებინათ მსოფლიოსთვის რუსეთის რეაქციული ხასიათი.

---

**მედიცინა**

## მკურნალობა ხალხური რეცეპტებით – უძილობა

❖ ❖ ❖

– სადილის კოვზ დაქუცმაცებულ კატაბალახას ფესვებს დაასხით 1 ჭიქა ცივი ადუღებული წყალი, გააჩერეთ 6-8 საათი, გაწურეთ. მიიღეთ თითო სადილის კოვზი (ბავშვებს ერთი ჩაის კოვზი), სამჯერ დღეში.

❖ ❖ ❖

– ბალიშის ქვეშ ამოიდეთ სვიის ან არყის ფოთლები. ან დაიძინეთ ბალიშზე, რომელიც გატენილია ხმელი სვიის ან ტყის ბალახებისთ. გარდა ამისა, ძილის წინ მიირთვით 1 სუფრის კოვზი თაფლი.

❖ ❖ ❖

– ჩაატარეთ სუნთქვითი ვარჯიშები. მოეწყვეთ მოხერხებულად და ისუნთქეთ ღრმად და ნელა, დათვალეთ ჩასუნთქვის რაოდენობა. ეცადეთ, შეამციროთ ჩასუნთქვის რიცხვი წუთი და დაიყვანეთ ის ნორმიდან ნახევრამდე. ეს სავარჯიშო ჩაატარეთ 5-ჯერ დღეში.

❖ ❖ ❖

– 2 სუფრის კოვზ დანაყილ თალგამის ძირხვენას დაასხით წყალი და ადუღეთ 15 წუთის განმავლობაში. დღეში ერთხელ დალიეთ მეოთხედი ჭიქა ან ძილის წინ დალიეთ 1 ჭიქა.

❖ ❖ ❖

– ეცადეთ, არ დაიღალოთ გონებრივი მუშაობით საღამოობით, ადრე ივახშმეთ და ადრე დაწექით დასაძინებლად. სასარგებლოა ძილის წინ ფეხებზე თბილი ან ცხელი აბაზანების გაკეთება. შემდეგ დალიეთ 1 ჭიქა ცხელი ტკბილი წყალი ან რძე, უკეთესია 1 ჭიქა კატაბალახის ძირების ცხელი ნაყენი (1 ჩაის კოვზი ჭიქა მდუღარე 20 წუთი გააჩერეთ). შეიძლება ამოიდოთ ბალიშის ქვეშ 1 მუჭა სვია. საკმაო რაოდენობით ხახვის მიღება ღამით ასევე იძლევა ღრმა ძილის საშუალებას.

❖ ❖ ❖

– ხალხურ მედიცინას არ მოეპოვება უკეთესი საშუალება, ვიდრე 2 ჩაის კოვზი თაფლი, რომელსაც დამატებული აქვს 2 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი. მივიღოთ დღეში სამჯერ.

---

## რა შველის შარდის ბუშტის ანთებას



- 250 გრამი ნიახურის ძირები ჩავყაროთ 1 ლიტრ ადუღებულ წყალში და 2-3 წუთი ვადუღოთ, გავაციოთ, გადავწუროთ და მივიღოთ ეს ნაყენი დღის განმავლობაში.
- 2-3 ჩაის კოვზ წვრილად დაჭრილ ნედლ მატიტელას დავასხათ 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და 1 დღის განმავლობაში დავლიოთ. მიღება გავაგრძელოთ შედეგის მიღებამდე.

ეს ნაყენი კარგად შლის კენჭებს, ქვიშად აქცევს და ისე გამოჰყოფს ორგანიზმიდან. ამ ნაყენის ხმარება რეკომენდებულია საშარდე ბუშტის კენჭებისა და ქვიშის შემთხვევაში.

ამ ნაყენის გამოყენება არ შეიძლება საშარდე ბუშტის ანთების დროს.

2 ჩაის კოვზი ტყის ჩიტისთვალა (დაახლოებით 1.8 გრამი) წვრილად დაჭრილი ბალახი 1 ჭიქა ცივ წყალზე დააყენეთ. გააჩერეთ 8-10 საათის განმავლობაში. სვით 1 დღის განმავლობაში. საჭიროა სიფრთხილე, დიდი დოზებით მიღება იწვევს პირღებინებას, თავის ტკივილს, თავბრუსხვევას.

- 3 სუფრის კოვზ წვრილად დაჭრილ კრაზანას 250 მლ მდუღარე წყალს ასხამენ, დგამენ 2 საათის განმავლობაში და 1/3 ილებენ დღეში სამჯერ.
- 5-10 გრამ არყის ხის კვირტებს დაასხით 200 გრამი მდუღარე წყალი. მიიღეთ დღეში სამჯერ 100 გრამის ოდენობით.
- 3 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ ნეგოს ყვავილებს დაასხით 2 ჭიქა ცივი წყალი. დადგით 8 საათის განმავლობაში. მოცემული ნაყენი დღე-ღამის დოზაა.
- 1 მუჭა წითელი მოცვის ფოთოლს დაასხით 3 ჭიქა წყალი და 10 წუთს ხარშეთ. მიიღეთ 1 დღის განმავლობაში სამჯერ.

ეს საშუალება შლის ყველა სახის კენჭებს და გამოჰყავს ისინი თირკმელებიდან და ნაღვლის ბუშტიდან. მკურნალობა დაიწყეთ მზარდ მთვარეზე. მსხვილ ქიშმიშში მოათავსეთ შავი პილპილის მარცვლები. პირველ დღეს შეჭამეთ 1 მარცვალი, მეორე დღეს – 2 და ასე მიიყვანეთ 10 მარცვლამდე. შემდეგ კი თანდათან შეამცირეთ ერთამდე. აუცილებელია, გულმოდგინედ დაღეჭოთ შავი პილპილი. პილპილის სიცხარის მოსასპობად იგი უნდა ჩაუშვათ ცეცხლიდან გადმოდგმულ გავარვარებულ მცენარეულ ზეთში (უმჯობესია არარაფინირებული) ხუთი წუთით, გააშროთ და შეინახოთ მშრალ ადგილას. შეიძლება მისი საჭმელში გამოყენება დიდი რაოდენობითაც.

ყველაზე სასარგებლოა პილპილის დაღეჭვა ქიშმიშთან ერთად. მკურნალობის კურსი 20 დღეა.

- მიიღეთ ნიახურის ფესვებისა და ფოთლების წვენი დღეში სამჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე, ჩაის კოვზით, ერთი თვის განმავლობაში.

---

**საზოგადოება**

## ანა კალანდაძის სახელობის ლიტერატურულმა პრემიამ გამარჯვებულები გამოავლინა



ქართული პოეზიის დედოფლის ანა კალანდაძის სახელობის ლიტერატურულმა პრემიამ „ანა“ გამარჯვებულები გამოავლინა და რუსთაველის ეროვნულ თეატრში საზეიმოდ დააჯილდოვა.

ლიტერატურულ პრემია „ანას“ მოსაპოვებლად წელს კულტურის სამინისტროს 27 განმცხადებელმა მომართა.

გამარჯვებულებს კონკურსის სიმბოლოები და ფულადი პრემიები – 5.000 ლარი გადაეცათ.

## ეროვნულ ბიბლიოთეკაში წიგნის საახალწლო ფესტივალი გაიმართება

23 და 24 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით, წიგნის საახალწლო ფესტივალი გაიმართება.




ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს 30-მდე წიგნის გამომცემელი და გამავრცელებელი ორგანიზაცია. ისინი ფესტივალის სტუმრებს ფასდაკლებებს შესთავაზებენ. წარმოდგენილი იქნება წიგნები, როგორც ბავშვებისთვის, ასევე უფროსებისთვის. ფესტივალზე მისულ სტუმრებს წიგნების გამოფენა-გაყიდვასთან ერთად ლიტერატურული პროგრამაც დახვდებათ. გაიმართება ახალი გამოცემების პრეზენტაციები და დისკუსიები.

წიგნის საახალწლო ფესტივალი მიზნად ისახავს საქართველოში წიგნის კითხვის პოპულარიზაციასა და ლიტერატურული პროცესების ხელშეწყობას, საქართველოში წიგნიერებისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# აშშ-ის სენატმა, შესაძლოა, უკრაინას უკვე იანვარში დამატებითი დახმარება გამოუყოს



აშშ-ის სენატმა, შესაძლოა, უკვე იანვარში უკრაინას დამატებითი დახმარება გამოუყოს. ამის თაობაზე განაცხადა თეთრი სახლის წარმომადგენელმა კირბიმ.

ამა წლის დეკემბერში აშშ უკრაინას დახმარების პაკეტს გამოუყოფს. ამით უკრანისათვის განკუთვნილი ფული დამთავრდება. ახალი ფულის გამოყოფას კი კონგრესის ნებართვა ესაჭიროება.

უკრაინელი ექსპერტის ფისენკოს აზრით, აშშ-ის კონგრესმა უკვე მომავალი წლის იანვრის შუა რიცხვებისათვის, შესაძლოა, უკრაინისათვის დამატებითი თანხების გამოყოფაზე სათანადო დადგენილება გამოიტანოს.

# ჩეხეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტების შეხვედრა შედგა



ჩეხეთის პრეზიდენტი პეტერ პაველი პარიზში ჩავიდა. აქ ის თავის ფრანგ კოლეგას ემანუილ მაკრონს შეხვდა. მხარეებმა განიხილეს მიმდინარე საერთაშორისო სიტუაცია, ენერგეტიკული პრობლემები და, რა თქმა უნდა, უკრაინაში შექმნილი ვითარება.

# ჰამასმა ისრაელის წინადადება უარყო

ისრაელის მთავრობამ ტერორისულ ორგანიზაცია ჰამასს დროებითი ზავი შესთავაზა. ისრაელთა წინადადებით, ზავი საახალწლოდ, კერძოდ, 31 დეემბრიდან უნდა დადებულიყო და 14 იანვრამდე გაგრძელებულიყო.

ჰამასი ტერორისტულ ორგანიზაციადაა გამოცხადებული, როგორც აშშ-ში, ისე ევროკავშირის ქვეყნებში.

# რა ხდება რუსეთ-უკრაინის ფრონტზე

რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ბრძოლებია. ყველაზე ცხელი წერტილებია კვლავ ავდეევკა, მარინკა, კუპიანსკი, ლიმანი, ბახმუტი.

ავდეევკა კვლავ ფრონტის ყველაზე ცხელ წერტილად რჩება. ოკუპანტებმა პრომზონაში შეაღწიეს, მაგრამ იქ გამაგრება ვერ შეძლეს. უკრაინული არტილერიის გრიგალისებური ცეცხლის შემდეგ, რუსები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხით. ამრიგად, ავდეევკის ე.წ. „კოტიოლში" მოქცევა რუსეთმა ვერ შეძლო და საეჭვოა, რომ ეს უახლოეს დროში მოხერხდეს.



მსგავსი სიტუაციებია კუპიანსკთან, ლიმანთან და ბახმუტთან. ოკუპანტები გააფთრებით უტევენ. ისინი ცდილობენ, გამოიყენონ დრო, როცა აშშ იძულებულია, უკრაინას დახმარება შეუჩეროს და უკრაინული არმიაც ამ ეტაპზე ყუმბარებისა და ტყვია–წამლის ნაკლებობას განიცდის. მიუხედავად ამისა, უკრაინელები კვლავ წარმატებით აკავებენ ოკუპანტებს და წინ წაწევის საშუალებას არ აძლევენ.

მსგავსი სიტუაციაა ხერსონ-ზაპოროჟიეს ოლქებშიც. ზაპოროჟიეს ოლქში ოკუპანტებმა სცადეს შეტევის წამოწყება რობოტინოსთან და ვერბივკასთან. ეს წარუმატებლად დასრულდა. მტერმა უკან დაიხია და საწყის პოზიციებზე დაბრუნდა

მიუხედავად დანაკარგებისა, რუსები ცდილობენ, გააძევონ უკრაინელები ხერსონსჩინის დნეპრის მარცხენა ნაპირიდან. შედეგად, ოკუპანტების რიგებში მსხვერპლი გაიზარდა, შედეგი კი ნულოვანია. უკრაინელები თავიანთ პოზიციებს მტკიცედ ინარჩუნებენ.

## დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 5.828; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 10.825; არტილერია – 8.226; ჰაერსაწინააღმეგო თავდაცვითი საშუალებები – 611; თვითმფრინავები – 324. განადგურებულია 350.270 ოკუპანტი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

კალეიდოსკოპი

# საპატარძლომ ქორწილში მისვლაზე უარის მთქმელების დაჯარიმება გადაწყვიტა



ავსტრალიაში საპატარძლო გაბრაზდა იმ პიროვნებებზე, რომლებმაც მის ქორწილში მისვლაზე უარი განაცხადეს და მათი დასჯა გადაწყვიტა.

ქალმა, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ მომავალი ქორწილის მოლოდინში დილემის წინაშე აღმოჩნდა. ის ქორწილს რამდენიმე წლის განმავლობაში გეგმავდა და მასში მისაწვევ სტუმრებს ქორწილის თარიღი ჯერ კიდევ წლინახევრის წინ გაუმხილა. იანვარში მან ყველას ოფიციალური მიწვევა გაუგზავნა, რომლებსაც თავიანთი თანხმობა ივლისამდე უნდა ეცნობებინათ. ქორწილი მეზობელ შტატში თვალწარმტაც ადგილზე იყო დაგეგმილი და გარკვეული თანხის შეტანის შემდეგ მისი უკან დაბრუნება შეუძლებელი იქნებოდა.

თუმცა, ქორწილამდე ერთი კვირით ადრე, ათმა ადამიანმა ქალს შეტყობინება გამოუგზავნა, რომ ქორწილს ვერ დაესწრებოდნენ. ამასთან, ზოგიერთმა მათგანმა განმარტა, რომ ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე მეზობელ შტატში ჩასვლას ვერ შეძლებდნენ. ამან კი მომავალი პატარძალი გააცოფა, ვინაიდან მას მათ ნაცვლად სხვები უნდა მოეძებნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკვე გადახდილი თანხა დაეკარგებოდა. საბოლოოდ კი მან ქორწილში მისვლაზე უარის მთქმელების დაჯარიმება გადაწყვიტა.

# მამაკაცმა ჩაის გამო ცოლს თავი მოაჭრა

ინდოეთში მამაკაცმა ცოლს ხმლით თავი იმის გამო მოჰკვეთა, რომ მან დროულად არ მიუტანა მისი საყვარელი სასმელი.

უტარ-პრადეშის შტატის ქალაქ გაზიაბადის მცხოვრებ მამაკაცს, სახელად დხარამვირს, დიდი ხნის მანძილზე ჩაის გამო კამათი ჰქონდა საკუთარ მეუღლესთან. 50 წლის ქალი სახელად სუნდარი მეუღლეს უმტკიცებდა, რომ ჩაი მის ჯანმრთელობას ვნებდა. თუმცა, ქმარი მას ყურს არ უგდებდა და საყვარელ სასმელს ეძალებოდა.

სამშაბათს, 19 დეკემბერს დილით ადრე დხარამვირმა ისევ მოსთხოვა მეუღლეს მისთვის ჩაის მიტანა. ქალმა მისი მოთხოვნა უყურადღებოდ დატოვა. ამან მამაკაცი გააცოფა, ხმალს ხელი დასტაცა, ცოლს თავს დაესხა და ერთ-ერთი შვილის თვალწინ თავი მოაჭრა.

დანაშაულის ჩადენისთანავე, მამაკაცი სახლიდან გაიქცა. მანამდე ის მეზობლებს დაემუქრა, რათა მისთვის გაქცევაში ხელი არ შეეშალათ. ამ დროისთვის მასზე ძებნაა გამოცხადებული.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## განცხადებები

• მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციების გან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

• ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

• ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.


კალეიდოსკოპი

# სამუდამო პატიმრობამისჯილს ციხიდან გაქცევაში დედა დაეხმარა



აშშ-ში დააპატიმრეს დამნაშავე, რომელმაც დედის დახმარებით ციხიდან გაქცევა მოახერხა.

39 წლის რობერტ იანსი, რომელსაც სამუდამო პატიმრობა, შვიდი წლის გოგონას გაუპატიურებისთვის, ჰქონდა მისჯილი, ტეხასის შტატის ბრაზორიის ოლქის ციხიდან კვირას 17 დეკემბერს გაიქცა. იმ დღეს პატიმარი დედამ ლეონორ პრისტლმა მოინახულა. ქალმა პაემნების ოთახში შვილისთვის ტანსაცმელისა და სხვის სახელზე გაცემული პირადობის დამადასტურებელი მოწმობის შეტანა მოახერხა.

მისთვის დედის მიერ ტანსაცმელის გადაცმის შემდეგ, იანსმა საპატიმრო დაწესებულების დედასთან ერთად დატოვება მოახერხა. ისინი ავტომობილში ჩასხდნენ და გაურკვეველი მიმართულებით მიიმალნენ. როგორც კი საპატიმრო დაწესებულების თანამშრომლებმა პატიმრის გაუჩინარება შენიშნეს, დაუყოვნებლი მის დედასა და მის კუთვნილ ავტომობილზე ძებნა გამოცხადდა.

იმავე დღის დაახლოვებით 20:30 საათზე პრისტლი ციხიდან დაახლოებით 180 კილომეტრში დააკავეს, თუმცა, მისი შვილი ავტომობილში არ აღმოჩნდა. მეორე დღეს გაქცეული პატიმარი, ციხიდან დაახლოებით 70 კილომეტრში მდებარე კულინგის წყალსაცავის მახლობლად, პარკში მყოფმა დამსვენებლებმა ამოიცნეს და დაუყოვნებლივ პოლიციას შეატყობინეს.

ადგილზე მისულ სამართალდამცავებს იანსმა სხვისი პირადობის მოწმობა წარუდგინა და შეეცადა თავი სულ სხვა ადამიანად გაესაღებინა, თუმცა, მალევე სიმართლე აღიარა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ პრისტლი ადრე ზედამხედველად მუშაობდა. გამომძიებლები ფიქრობენ, რომ მას შვილის ციხიდან გაპარებაში საპატიმრო დაწესებულების განაწესის ცოდნა დაეხმარა. საბოლოოდ, იანსის დედასა და მის ბოიფრენდ რასელ უილიამს გაქცევის ორგანიზების ბრალდება წაუყენეს.

# ბეჰემოთმა ზოოპარკის ერთი თანამშრომელი მოკლა, მეორე კი დაასახიჩრა

ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატში ბეჰემოთი ზოოპარკის ორ თანამშრომელს თავს დაესხა.

აღნიშნული ინციდენტი ქალაქ ლაკხნაუში ორშაბათს, 18 დეკემბერს მოხდა. ზოოპარკის თანამშრომლები სურაჯი და რაჯუ ბეჰემოთის ვოლიერში მის დასალაგებლად შევიდნენ. მუშაობის დროს ცხოველი მათ თავს დაესხა. ბეჰემოთმა რაჯუ დაასახიჩრა, რომელმაც მისგან თავის დაღწევა და გაქცევა მოახერხა, ხოლო სურაჯი ცხოველმა ადგილზევე დაგლიჯა.

ზოოპარკის დანარჩენმა თანამშრომლებმა ბეჰემოთი დაუყოვნებლივ ცალკე შენობაში შერეკეს და ჩაკეტეს. აღსანიშნავია, რომ ცხოველი ლაკხნაუს ზოოპარკში სხვა ზოოპარკიდან რამდენიმე დღით ადრე გადაიყვანეს. სურაჯი ადგილობრივ ზოოპარკში 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა და მას მეუღლე და პატარა გოგონა დარჩა.

ზოოპარკის დირექტორის ადიტი შარმას თქმით, ამ დროისთვის მომხდარის გამოძიება მიმდინარეობს. ასევე, მისი განცხადების თანახმად, ბეჰემოთისთვის სამი ვოლიერი იყო გამოყოფილი, ერთი დამთვალიერებლებისთვის მის საჩვენებლად, მეორე მის გამოსაკვებად, ხოლო მესამე იმ მომენტისთვის იყო განკუთვნილი, როდესაც პირველი ორის დალაგება მიმდინარეობდა. ახლა მიმდინარეობს იმის გარკვევა, თუ რატომ არ იყო ვოლიერის კარი დაკეტილი.

სპორტი

## შედეგები

20 დეკემბერი

ფეხბურთი

### ინგლისი. ლიგის თასი

ლივერპული-ვესტ ჰემი ..................... 5:1

### გერმანია. ბუნდესლიგა

უნიონი-კიოლნი ..................... 2:0
აინტრახტი-გლადბახი ..................... 2:1
ლევერკუზენი-ბოხუმი ..................... 4:0
ვოლფსბურგი-ბაიერნი ..................... 1:2
ჰაიდენჰაიმი-ფრაიბურგი ..................... 3:2
შტუტგარტი-აუგსბურგი ..................... 3:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლევერკუზენი | 16 | 13 | 3 | 0 | 46-12 | 42 |
| 2.ბაიერნი | 15 | 12 | 2 | 1 | 49-15 | 38 |
| 3.შტუტგარტი | 16 | 11 | 1 | 4 | 37-19 | 34 |
| 4.ლაიფციგი | 16 | 10 | 3 | 3 | 38-17 | 33 |
| 5.დორტმუნდი | 16 | 7 | 6 | 3 | 30-25 | 27 |
| 6.აინტრახტი | 16 | 6 | 6 | 4 | 26-20 | 24 |
| 7.ჰოფენჰაიმი | 16 | 7 | 3 | 6 | 32-30 | 24 |
| 8.ფრაიბურგი | 16 | 7 | 3 | 6 | 21-26 | 24 |
| 9.ჰაიდენჰაიმი | 16 | 6 | 2 | 8 | 25-32 | 20 |
| 10.ვოლფსბურგი | 16 | 6 | 1 | 9 | 20-27 | 19 |
| 11.აუგსბურგი | 16 | 4 | 6 | 6 | 24-31 | 18 |
| 12.გლადბახი | 16 | 4 | 5 | 7 | 31-35 | 17 |
| 13.ვერდერი | 16 | 4 | 4 | 8 | 23-30 | 16 |
| 14.ბოხუმი | 16 | 3 | 7 | 6 | 18-33 | 16 |
| 15.უნიონი | 15 | 4 | 1 | 10 | 17-31 | 13 |
| 16.მაინცი | 16 | 1 | 7 | 8 | 13-28 | 10 |
| 17.კიოლნი | 16 | 2 | 4 | 10 | 10-28 | 10 |
| 18.დარმშტადი | 16 | 2 | 4 | 10 | 20-41 | 10 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბარსელონა-ალმერია ..................... 3:2
ბილბაო-ლას პალმასი ..................... 1:0
ვილიარეალი-სელტა ..................... 3:2

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ხირონა | 17 | 14 | 2 | 1 | 41-20 | 44 |
| 2.რეალი | 17 | 13 | 3 | 1 | 38-11 | 42 |
| 3.ბარსელონა | 18 | 11 | 5 | 2 | 34-21 | 38 |
| 4.ატლეტიკო | 17 | 11 | 2 | 4 | 35-19 | 35 |
| 5.ბილბაო | 18 | 10 | 5 | 3 | 34-19 | 35 |
| 6.სოსიედადი | 17 | 8 | 6 | 3 | 29-18 | 30 |
| 7.ბეტისი | 17 | 6 | 9 | 2 | 19-17 | 27 |
| 8.ხეტაფე | 18 | 6 | 8 | 4 | 24-23 | 26 |
| 9.ლას პალმასი | 18 | 7 | 4 | 7 | 15-15 | 25 |
| 10.ვალენსია | 18 | 6 | 5 | 7 | 19-22 | 23 |
| 11.რაიო | 18 | 4 | 8 | 6 | 16-24 | 20 |
| 12.ოსასუნა | 17 | 5 | 4 | 8 | 19-26 | 19 |
| 13.ვილიარეალი | 18 | 5 | 4 | 9 | 26-35 | 19 |
| 14.სევილია | 17 | 3 | 7 | 7 | 23-24 | 16 |
| 15.ალავესი | 17 | 4 | 4 | 9 | 14-23 | 16 |
| 16.მალიორკა | 17 | 2 | 9 | 6 | 14-20 | 15 |
| 17.კადისი | 17 | 2 | 8 | 7 | 14-24 | 14 |
| 18.სელტა | 18 | 2 | 7 | 9 | 18-28 | 13 |
| 19.გრანადა | 18 | 1 | 5 | 12 | 20-40 | 8 |
| 20.ალმერია | 18 | 0 | 5 | 13 | 19-42 | 5 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

სარაგოსა-ლევანტე ..................... 2:2
ლეგანესი-ტენერიფე ..................... 1:1
ეიბარი-ხიხონი ..................... 1:1

### იტალია. თასი

ინტერი-ბოლონია ..................... 1:2(დდ)

### საფრანგეთი. ლიგა 1

ბრესტი-ლორიანი ..................... 4:0
კლერმონი-რენი ..................... 1:3
ლიონი-ნანტი ..................... 1:0
მონპელიე-მარსელი ..................... 1:1
ნიცა-ლანსი ..................... 2:0
პსჟ-მეცი ..................... 3:1
რეიმსი-ლეავრი ..................... 1:0
სტრასბური-ლილი ..................... 2:1
ტულუზა-მონაკო ..................... 1:2

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 17 | 12 | 4 | 1 | 42-14 | 40 |
| 2.ნიცა | 17 | 10 | 5 | 2 | 19-9 | 35 |
| 3.მონაკო | 17 | 10 | 3 | 4 | 33-22 | 33 |
| 4.ბრესტი | 17 | 9 | 4 | 4 | 25-15 | 31 |
| 5.ლილი | 17 | 7 | 7 | 3 | 21-14 | 28 |
| 6.მარსელი | 17 | 7 | 6 | 4 | 25-18 | 27 |
| 7.ლანსი | 17 | 7 | 5 | 5 | 21-17 | 26 |
| 8.რეიმსი | 17 | 8 | 2 | 7 | 22-23 | 26 |
| 9.სტრასბური | 17 | 6 | 5 | 6 | 18-22 | 23 |
| 10.რენი | 17 | 4 | 7 | 6 | 23-22 | 19 |
| 11.ლეავრი | 17 | 4 | 7 | 6 | 16-19 | 19 |
| 12.მონპელიე | 17 | 4 | 7 | 6 | 19-21 | 18 |
| 13.ნანტი | 17 | 5 | 3 | 9 | 19-28 | 18 |
| 14.მეცი | 17 | 4 | 4 | 9 | 16-27 | 16 |
| 15.ლიონი | 17 | 4 | 4 | 9 | 16-27 | 16 |
| 16.ტულუზა | 17 | 2 | 8 | 7 | 15-23 | 14 |
| 17.ლორიანი | 17 | 2 | 6 | 9 | 21-35 | 12 |
| 18.კლერმონი | 17 | 2 | 5 | 10 | 11-26 | 11 |

### ბელგია. ა დივიზიონი

სერკლი-კორტრაიკი ..................... 3:0
მეხელენი-სტანდარდი ..................... 3:0

### თურქეთი. სუპერლიგა

ქაისერი-ფენერბახჩე ..................... 3:4
ანთალია-ქაშიმფაშა ..................... 0:0
გალათაარაი-ქარაგუმრუქი ..................... 1:0

### შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-ლივინგსტონი ..................... 2:1
რეინჯერსი-სტ.ჯონსტონი ..................... 2:0

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუპერლიგა გაცოცხლდა, ევროსასამართლომ უეფა გაამტყუნა



საფეხბურთო სამყარო დიდი ცვლილებების მოლოდინშია. ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ სუპერლიგის დაარსების წინააღმდეგ ბრძოლაში ფეხბურთის ორი დიდი ორგანიზაცია – ფიფა და უეფა გაამტყუნა.

ევროპულმა სასამართლომ ევროკავშირის კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ მიიჩნია ამ ორი ორგანიზაციის წესები, რომლის მიხედვით უფლება ჰქონდათ დაებლოკათ სხვა ტურნირების ჩატარება.

ახლა სუპერლიგის პროექტი ისევ ძალაში შევიდა და, დიდი შანსია, ახალი, დიდი ტურნირი ჩატარდეს.

შეგახსენებთ, 2021 წლის აპრილში 12 ევროპულმა კლუბმა სუპერლიგის შექმნის შესახებ გამოაცხადა. ესენი იყვნენ: არსენალი, ლივერპული, მანჩესტერ სიტი, მანჩესტერ იუნაიტედი, ტოტენჰემი, ჩელსი, ბარსელონა, რეალი, ატლეტიკო, ინტერი, მილანი და იუვენტუსი.

თუმცა, უეფას მუქარის გამო, 10-მა მათგანმა უარი თქვა, ხოლო რეალი და ბარსელონა იდეის მომხრეებად დარჩნენ, სასამართლოში იჩივლეს და მოიგეს კიდეც.

ბოლო ინფორმაციებით, რეალის პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ამ საკითხზე მაინც მუშაობდა და, დაახლოებით, 50-60 კლუბის მენეჯერებს შეხვდა.

პერესი აქტიურად მუშაობდა მედიასთანაც და განცხადებებსაც აკეთებდა:

– ფეხბურთი კრიზისშია. ამიტომ ან ახლა ვიმოქმედებთ, ან ფეხბურთი ვერ გადარჩება. მთავარი პრობლემა ისაა, რომ არიან მენეჯერები, რომლებიც გულშემატკივრებზე ფიქრის გარეშე მოქმედებენ. ევროპული ფეხბურთი არ ეკუთვნის უეფას პრეზიდენტს, არც ესპანური ფეხბურთი ეკუთვნის ლა ლიგას. სუპერლიგა ახლა უფრო საჭიროა, ვიდრე ოდესმე. მიზანია ფეხბურთი უკეთესი გავხადოთ და კლუბებმა საკუთარი თავი უნდა გააკონტროლონ.

ჩემპიონთა ლიგის ახალი ფორმატი აბსურდული პროექტია. ეს მოდელი გულშემატკივრებს ფეხბურთისგან კიდევ უფრო დააშორებს, განსაკუთრებით – ახალგაზრდებს და ბოლოს მოუღებს ევროპულ ფეხბურთს. უეფას თავისუფლების შეზღუდვისა და ფეხბურთის მონოპოლიის უფლება არ აქვს.

ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით განცხადება თავად უეფამაც გაავრცელა:

– უეფა ითვალისწინებს ევროპის სუპერლიგის საქმეზე ევროსასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას.

ეს გადაწყვეტილება არ ნიშნავს ეგრეთ წოდებული „სუპერ ლიგის" დამტკიცებას ან დადასტურებას; ეს უფრო მეტად ხაზს უსვამს უეფას წინასწარი ავტორიზაციის ჩარჩოში არსებულ ხარვეზს, ტექნიკურ ასპექტს, რომელიც უკვე აღიარებულ და განხილულ იქნა 2022 წლის ივნისში. უეფა დარწმუნებულია მისი ახალი წესების სიმტკიცეში და ყველა ევროპულ კანონსა და რეგულაციას ისინი შეესაბამება.

უეფა მტკიცედ რჩება ევროპული საფეხბურთო პირამიდის დაცვის ვალდებულებაში და უზრუნველყოფს, რომ საზოგადოების ფართო ინტერესებს კვლავ ემსახურებოდეს. ჩვენ გავაგრძელებთ ევროპის სპორტული მოდელის კოლექტიურად ჩამოყალიბებას ეროვნული ასოციაციებით, ლიგებით, კლუბებით, გულშემატკივრებით, მოთამაშეებით, მწვრთნელებით, ევროკავშირის ინსტიტუტებით, მთავრობებითა და პარტნიორებით.

გვჯერა, რომ სოლიდარობაზე დაფუძნებული ევროპული საფეხბურთო პირამიდა, რომელიც გულშემატკივრებმა და ყველა დაინტერესებულმა მხარემ გამოაცხადეს შეუცვლელ მოდელად, ევროპული და ეროვნული კანონების წინააღმდეგობების მიუხედავად, დაცული იქნება დაშლისგან.

ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სუპერლიგა 18 თვეში დაიწყება.

# ძიუდოს ფედერაციის ახალი ინიციატივა



საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ სასტუმრო „ბილტმორში" საზოგადოებას ახალი პროექტი – მილიონი ლარი პირად მწვრთნელებს, წარუდგინა.

პროექტი, პირველ რიგში, ძიუდოში მომუშავე პირად მწვრთნელებს ეხება და მათ, როგორც შინაარსობრივად, ისე ფინანსურად, უფრო დააფასებს.

პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ბავშვთა ტურნირების ორგანიზება და ერთიან ჩარჩოში მოქცევაა და საქართველოს ძიუდოს ფედერაცია საკუთარ თავზე იღებს.

ახალი პროექტი უკვე განხორციელებული და ამუშავებული 3 პროექტის გაგრძელებაა: საკლუბო სისტემა (ბიუჯეტი 300.000 ლარი); მომავალი ძიუდო – მოქნილი გზა წარმატებისკენ (350.000); საშეჯიბრო-საგამოცდო სისტემა (350.000).

პირად მწვრთნელებს შორის საპრიზო თანხები განაწილდება წინასწარ დადგენილი და განსაზღვრული პირობებით, რაც ძირითადად სარეიტინგო სისტემას ემყარება.

ბავშვთა 3 ასაკში (11-12; 13-14; 15-16 წლები) 6-6 სარეიტინგო ტურნირები გაიმართება. პირველ ორში ექვსიდან სამი დგომში (ნაგევაზა) და ამდენივე ქვეჭიდში (კატამევაზა) იქნება. 15-16-იანებში კი, ეს პროპორცია 4/2-ზე იქნება.

მეექვსე სარეიტინგო ტურნირი იქნება – მასტერსი – საქართველოს ჩემპიონატი. თუმცა, იქ მოსახვედრად მონაწილეებმა ქულები წინა 5 ტურნირში უნდა დააგროვონ და ბოლოს რეიტინგის 16 საუკეთესო იჭიდავებს.

წინა ორ ასაკობრივ კატეგორიაში ასეთი დაყოფა არაა, სადაც ყველა ტურნირში იჭიდავებენ და დაგროვებული ქულებით პრემია სპორტსმენებზეც და მათ პირად მწვრთნელებზეც, მე-60 ადგილის ჩათვლით, გაიცემა. თანხა მაქსიმუმ 2.000 ლარისა და მინიმუმ 500 ლარის ფარგლებში იქნება; ერთი წლით უფროსებში ეს დიაპაზონი 2.400-800 ლარს შორის იმერყევებს; 15-16-წლიანებში კი, პრემიას 16 საუკეთესოს მწვრთნელი 2.500-დან 600 ლარამდე მიიღებს.

თანხის 70%-ს მწვრთნელი საკუთარი შეხედულებით განსაზღვრავს, 30% კი, მოსწავლეთა წახალისებას უნდა მოახმაროს: შეკრებების დაფინანსება, ტურნირებზე წაყვანა, ეკიპირება, ინვენტარი და სხვა. მწვრთნელი ვალდებულია, ყოველწლიურად ჩააბაროს სავალდებულო გამოცდები ფედერაციის მიერ მოთხოვნილ აქტივობებში, მოამზადოს მოსწავლეები თავიანთი გამოცდებისთვის და სხვა.

აქვე გეტყვით, რომ ძიუდოს ფედერაციას სხვა სახელფასო პროექტებიც აქვს, სადაც შიდა თუ უცხოური შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, მწვრთნელმა 2.500 ლარიც გამოიმუშაოს; არ არის გამორიცხული, ვინმეს ფინანსური წახალისება პირადი სპონსორის ან ადგილობრივი თვითმმართველობების ხარჯზეც ჰქონდეს.

საინტერესოა, რომ სპორტსმენს ქულები შეუნარჩუნდება წონითი კატეგორიის შეცვლის შემთხვევაშიც.

16-წლამდე ბავშვებში აიკრძალა ფიზიკური შესაძლებლობების გაზრდა, ხოლო პირველ ორ ასაკობრივ კატეგორიაში ბავშვებში წონის კლება. ბავშვთა წონას სისტემატურად გააკონტროლებენ და კილოგრამით მეტიც რომ აღმოჩნდეს იმ წონაზე, რომელშიც ძიუდოისტი გამოვიდა, პირად მწვრთნელს სახელფასო თუ სასტიპენდიო სიიდან ამოიღებენ.

პროექტით ასევე გათვალისწინებულია ქულების ოდენობა სარეიტინგო შეჯიბრებებში კონკრეტულ ადგილზე გასვლისთვის. მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა.

# მამარდაშვილი ინტერსაც მოუნდა



ტოტენჰემი, ნიუკასლი, მანჩესტერი, რეალი, იუვენტუსი – ეს იმ გუნდების ჩამონათვალია, რომელთაც საქართველოს ნაკრებისა და ვალენსიის მეკარის, გიორგი მამარდაშვილის გადაბირება სურთ.

ამ სიას კიდევ ერთი გუნდი დაემატა – ინტერი. მეტიც, იტალიური მედია იმასაც წერს, რომ მილანური კლუბი უფრო მონდომებულია, ვიდრე იუვენტუსი. ინტერი მზადაა, ვალენსიას 35 მილიონი ევრო შესთავაზოს.

მართალია, ინტერის ხელმძღვანელობა ამჟამინდელი მეკარის, იან ზომერის თამაშით კმაყოფილია, მაგრამ მომავალზე ფიქრობენ, რადგან შვეიცარიელი 35 წლისაა.

შეგახსენებთ, რომ მამარდაშვილი ვალენსიაში 2021 წლიდან თამაშობს, ხოლო გასული და მიმდინარე სეზონი შეუცვლელია და ლა ლიგაში ზედიზედ 74 მატჩი ითამაშა.

# ბითაძეს დრო დააკლდა, ორლანდოს – ბითაძე



გოგა ბითაძე ორლანდოს სასტარტო ხუთეულში ვენდელ კარტერის ტრავმის გამო თამაშობდა, მაგრამ ფლორიდელთა ძირითადი ცენტრი გამოჯანმრთელდა და ჩვენებურმა ისევ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. თუმცა, მაიამისთან მატჩმაც გამოაჩინა, რომ ბითაძე ბევრად მეტს იმსახურებს.

ორლანდომ მაიამისთან 106:115 წააგო. კარტერმა თითქმის ორჯერ მეტი ითამაშა, ვიდრე ბითაძემ, საერთო მაჩვენებლით კი, ქართველი უკეთესი იყო.

კარტერმა 23 წუთში 8 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა, ბითაძემ კი, 12 წუთში 4 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი და 2 დაფარება.

ორლანდომ ზედიზედ მესამედ წააგო. ფლორიდელებს 16 მოგების წილ და 12 მარცხი აქვს აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-4 ადგილზეა. მეჯიქს მომდევნო თამაში 22 დეკემბერს, მილუოკი ბაქსთან უწევს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა დაუმარცხებელ პორტუგალიას მოუგო



საქართველოს ფუტსალის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩი მსოფლიოსა და ევროპის მოქმედ ჩემპიონ პორტუგალიასთან გამართა და 2:1 დაამარცხა.

არცერთი გუნდისთვის ამ თამაშს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა: პორტუგალიელებს პირველი ადგილი დაბევებული ჰქონდათ, ხოლო ჩვენებს ელიტ რაუნდში გასვლის შანსი UEFA-მ მოუსპო, როდესაც ფინელთა და პორტუგალიელთა საჩივარი დააკმაყოფილა და საქართველოს ნაკრებს 6 ქულა დააკლო.

ანგარიში პორტუგალიელებმა 22-ე წუთზე ნევეშის გოლით გახსნეს. თუმცა, 33-ე წუთზე ანგარიში ჩიმბამ გაათანაბრა, ხოლო 38-ე წუთზე გიორგი ლავთაძემ გამარჯვების გოლი გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ პორტუგალიელებს 42 ოფიციალური თამაში არ ჰქონდათ წაგებული და ავთანდილ ასათიანის გუნდმა ეს სერია შეაწყვეტინა.

მატჩის შემდეგ კომენტარი საქართველოს ფუტსალის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ავთანდილ ასათიანმა** გააკეთა:

– დავამარცხეთ ნაკრები, რომელსაც ოფიციალურ მატჩებში ხუთი წელია, არ წაუგია. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ჩემს გუნდს არ უხარია – ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატი ხელიდან წაგვართვეს. უბრალოდ, არასამართლიანია ამ გუნდის ასე ჩამოშლა. აგერ ჩანს კიდეც ყველაფერი: რა შეუძლია ამ გუნდს, რა გააკეთეს ბიჭებმა. მინდა, მათ მთელი საქართველოს წინაშე დიდი მადლობა ვუთხრა, რადგან ეს არ არის მარტივი. ამას მსოფლიო დონის ნაკრებები ვერ აკეთებენ. ასე რომ, ერთიანობასა და სწორ მუშაობას ყველაფრის გაკეთება შეუძლია.

შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრები უეფამ ნატურალიზებული მოთამაშეების გამოყენების წესის დარღვევის გამო დასაჯა და ოთხი ქულა დააკლო.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 2. ხელოვნურად გაშენებული ტყე; 3. ამერიკელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 4. უეფას პრეზიდენტი; 7. ზოგიერთი მოლუსკის სხეულში წარმოქმნილი ძვირფასი თვალი; 8. ქართლში გავრცელებული ვარდისფერყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 12. წყალში გაზავებული ამიაკის ხსნარი; 14. ამერიკული მსუბუქი ავტომობილი; 16. ლურჯი მინის წარმოებაში გამოყენებული ქიმიური ელემენტი მეტალი; 17. შექსპირის ტრაგედია; 19. ხელოვნების მუზეუმი ლოს ანჯელესში; 20. რძის პროდუქტი.

**თარაზულად:** 5. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 6. ნადირთა მფარველი ღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 9. მიწათმოქმედების, ნაყოფიერების ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 10. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში; 11. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 13. სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო; 15. გერმანული ფარმაცევტული ფირმა; 18. მუშაობის, ენერგიის საზომი ერთეული ფიზიკაში; 21. ქართველი მხატვარი მამაკაცი გობელენისტი; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 23. გულუბრყვილო, უეშმაკო ადამიანი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კომედია; 2. ბულა; 3. ბუერი; 4. კიტონი; 6. ჩოქბჯენი; 9. ბაგეტი; 13. პოპლიკა; 14. გაუტამა; 15. ჰენესი; 17. ფლუსი; 18. სკოტი; 20. არვე.

**თარაზულად:** 1. კუბდარი; 5. ჩარჩი; 7. ბულიმია; 8. მაღრიბი; 10. ეპოქა; 11. რანჩო; 12. ჟიგული; 16. ხამონი; 17. ფუქსი; 19. პერო; 21. შერიფი; 22. ასკოტი; 23. დინარი; 24. საუზმე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ოგინსკი; 2. დიდება; 3. კაბოშონი; 4. პითაგორა; 7. ციხისძირი; 8. აუტინოურა; 12. გრინვიჩი; 14. ბიოსფერო; 16. კომიქსი; 17. კრამიტი; 19. თორა; 20. აბიო.

**თარაზულად:** 5. აგრემანი; 6. ამაშუკელი; 9. ასუანი; 10. ბადიში; 11. ჯინგო; 13. გროგი; 15. რიკოთი; 18. ფობია; 21. პერგამონი; 22. ქულბაქი; 23. სანიოლი.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 დეკემბერი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.6882 |
| ევრო | — 2.9430 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | — 3.3952 |
| 100 რუსული რუბლი | — 2.9188 |

**ამინდის პროგნოზი 22 დეკემბრისათვის**




# ხავი: „ბარსელონას თამაშის ხარისხით კმაყოფილი არ ვარ“



ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ხავიმ ალმერიასთან მოგებული თამაშის შემდეგ კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მიუხედავად გამარჯვებისა, ის გუნდის თამაშით ბოლომდე კმაყოფილი არ არის:

– პირველ ტაიმში აგრესიულობა გვაკლდა და ძალიან პასიურები ვიყავით, რაც ჩვენი დონის გუნდისთვის მიუღებელია. მეორე ტაიმში უკეთესად ვითამაშეთ, მაგრამ დაცვაში შეცდომები დავუშვით და ამის გამო კინაღამ დავისაჯეთ. გუნდს დასვენება სჭირდება.

# გიორგი მიქაუტაძე მეცში დაბრუნდება



ამსტერდამის აიაქსის ქართველი ფორვარდი გიორგი მიქაუტაძე მეცში დაბრუნდება. ის თავის ძველ გუნდში ამჯერად მხოლოდ 6-თვიანი იჯარით ითამაშებს და ზაფხულში, დიდი ალბათობით, ისევ აიაქსს შეუერთდება.

მიქაუტაძეს, ჯერჯერობით, კარიერა აიაქსში არ აეწყო. ის გუნდს აგვისტოს ბოლოს შეუერთდა, რის შემდეგაც მხოლოდ რამდენჯერმე მოხვდა ძირითად შემადგენლობაში.

# იურგენ კლოპი: „წელს ლივერპულის თამაში მომწონს“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა თავისი გუნდის თამაშზე ისაუბრა და თქვა, რომ წლევანდელ სეზონში ლივერპული გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე შარშან და მათ ასე უნდა გააგრძელონ:

– ვესტ ჰემთან კარგი თამაში იყო და ჩვენ პროგრესი უნდა გავაგრძელოთ, რადგან ვხედავთ, რომ ამის პოტენციალი გვაქვს. ლივერპულმა გულშემატკივარს ენთუზიაზმი დაუბრუნა, რაც ძალიან მიხარია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# ნანი ბრეგვაძე „თბილისი პრაიდის“ ღონისძიებაზე იმღერებს



ორგანიზაცია „თბილისი პრაიდი“ გრანდიოზულ ღონისძიებას გეგმავს, რომელსაც ნანი ბრეგვაძე გახსნის.

წლის შემაჯამებელ ღონისძიებაზე შეკრებილი საზოგადოების წინაშე ქართული ესტრადის დედოფალი წარსდგება.

საღამო 29 დეკემბერს არის დაგეგმილი და საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა უკვე გამოიწვია. „თბილისი პრაიდს“, რომელიც უმცირესობის უფლებებს იცავს, ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. საზოგადოების ნაწილი დარწმუნებულია, რომ ნანი ბრეგვაძემ ამ ორგანიზაციის შესახებ არაფერი იცის, თორემ არ დათანხმდებოდა.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც „თბილისი პრაიდის“ ღონისძიებაზე ცნობილი მომღერალი გამოდის. შარშან ამ საღამოს სტუმარი ჯაზის ლეგენდა გიული ჩოხელი იყო.

# საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართავენ




საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, შალვა პაპუაშვილს საგანგებო წერილით მიმართავენ:

– მოგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტი საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების მოდელის შეცვლის შესახებ, მთლიანად ცვლის საზოგადოებრივი მაუწყებლის სტატუსს და, ფაქტობრივად, აუქმებს საზოგადოებრივ მაუწყებელს.

დაფინანსების მსგავსი წესი თანხვედრაში არ მოდის ევროპის არცერთი საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსების მოდელთან და, სამაგიეროდ, სრულ წინააღმდეგობაში მოდის ზოგადად საზოგადოებრივი მაუწყებლების დაფინანსების ძირეულ პრინციპთან.

ევროპის მაუწყებელთა კავშირის პრეზიდენტმა ნოელ კურანმა თავის დასკვნაში აღნიშნა, რომ ეს კანონპროექტი საქართველოში საზოგადოებრივი მაუწყებლობის სისტემის განადგურებას გამოიწვევს და ჩვენ ამ შეფასებას სრულად ვიზიარებთ.

გამომდინარე იმ საფრთხიდან, რის წინაშეც დგას საზოგადოებრივი მაუწყებელი როგორც ინსტიტუცია, მაუწყებლის თანამშრომლები დაბეჯითებით გთხოვთ, კანონის საბოლოოდ მიღებამდე შეგვხვდეთ და მოისმინოთ ჩვენი მოსაზრებები.

# თათია კობალაძეს საახალწლო გადაცემებში ბლოკავენ



არაერთი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულსა და ფინალისტს თათია კობალაძეს საახალწლო გადაცემებში ბლოკავენ:

– მართლა გულით მაინტერესებს, აჭარის ტელევიზიაში საახალწლო გადაცემების გადაღებაზე ვინ ადგენს სიებს? მთელი გულით მაინტერესებს. 4 წელია, ბათუმში გადმოვცხოვრდი და რით ვერ გამოინახა ერთი საახალწლო გადაცემა, სადაც შეიძლება, რომ თათია კობალაძე ჩასვათ. კი არ გეხვეწეოდით. 3 წელი გეხვეწებოდით, ელს კიდევ მაინტერესებდა, ვინ... თუ დარეკავდით, მაგრამ, ჩემ... ა სამწუხაროდ და თქვენდა, ...ობათ, საბედნიეროდ, ისევ არა... ნ დარეკა. ცოტა სირცხვილია ... უნდა გრცხვენოდეთ, იმი... ამ, რომ ბათუმს ძალიან ბევ... , ძალიან მაგარი მომღერალი ჰ... ვს, თუმცა, არც თათია უნდა გ... ოტოვოთ.

ჩემს თავზე საერთოდ არ მა... ვს დიდი წარმოდგენა, უბრა... ოდ, სირცხვილია, როცა ყაზახ... თში და სხვადასხვა ქვეყნებ... ი გეძახიან და გთხოვენ, რომ მათთვის იმღერო. თუნდაც ყაზახეთის მთავარ არხზე პირდაპირ ეთერში ყაზახურ ენაზე ვიმღერე და ბათუმში, აჭარის ტელევიზიას იქეთ უნდა ვეხვეწო, რომ გეხვეწებით, ჩამსვით? შარშან მითხრეს, უკვე გადავიღეთ და მომავალ წელს აუცილებლადო. აი, მომავალი წელი მოვიდა, მაგრამ ისევ არავის გახსენდებათ თათია. ან არ გახსენდებათ, ან სპეციალურად გყავთ ჩახსნილი და მართლა ძალიან სირცხვილია. აჭარის ტელევიზიის რამდენიმე თანამშრომელი ძალიან მიყვარს, დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ვინ ადგენს სიებს, რომ 4 წლის განმავლობაში ვერ გამონახეთ თათიასთვის დრო, რომ ჩაგესვათ საახალწლო გადაცემაში? მოვიკითხე სიების შემდგენი და ვერ მივიღე პასუხი. იქნებ ახლა მაინც მითხრათ, რატომ ხდება ასე? თუკი სხვადასხვა ტელევიზიები მიწვევენ, აჭარის ტელევიზიას რატომ არ ახსენდება თათია კობალაძე? თუ, რომ არ გიძვრებით და ვაზელინი რომ არ მაქვს თავზე გადასხმული, მაგიტომ? ვაზელინს არ გადავისხამ და არ შეგეტენებით, მოწოდებით არ ვარ შემტენე ადამიანი. როდემდე უნდა გაგრძელდეს ამ ქვეყანაში ნიჭიერი ადამიანების უგულებელყოფა? მხოლოდ ჩემს თავზე არ მაქვს ლაპარაკი, ძალიან ბევრი ნიჭიერი ადამიანია, რომლებსაც ყურადღებას არ აქცევენ. ნუთუ არ გამოინახა ისეთი გადაცემა, რომ ყველა ნიჭიერი ჩასვან, გამოაჩინონ და იამაყონ?! ძალიან გაბრაზებული ვარ. მიუხედავად იმისა, რომ გადავფრინდი, გადმოვფრინდი, კონცერტები ჩავატარე, ჩემს ქალაქსაც მინდა, რომ ტელეეკრანებიდან ვუმღერო და ახალი წელი მივულოცო. მიუხედავად იმისა, რომ ახალ წელს აქ არ ვიქნები, მინდა, რომ ჩემმა ბათუმელებმაც მომისმინონ. რა გახდა? არ გრცხვენიათ? ადამიანს, რომელსაც ორკესტრთან და კაპელასთან სიმღერის გამოცდილება მაქვს 7 წლიდან და ამის ამსახველი ვიდეოკადრები არსებობს, არსად ეძახიან.

აი, როცა დამირეკავთ, აღარ მოვალ. ტელევიზია არის ერთი და ხელმძღვანელობა ჰყავს ერთი, შესაბამისად, გადაწყვეტილებებს როცა იღებთ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი საახალწლო გადაცემების გადაღებები გქონდეთ და ამ დროს თათია არ გახსენდებათ, სულ კარგად ბრძანდებოდეთ.

ძალიან მწყდება გული, ეს ძალიან ცუდი რამაა, რასაც აკეთებთ. პირდაპირი ვარ, არასდროს ვიტყვი ზურგს უკან თქვენზე იმას, რასაც პირში არ გეუბნებით. წარმატებები ყველას.

# „რივერდანსის“ შოუში ქართველი მოცეკვავე მიიწვიეს




მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გაყიდვად „რივერდანსის“ შოუში ქართველი მოცეკვავე კოკა გერგაია მიიწვიეს.

ინფორმაცია ქორეოგრაფმა დავით ფოცხიშვილმა გაავრცელა:

– ეს ამბავი ჩვენი, საქართველოს ქორეოგრაფიული და კულტურული სფეროსთვის ნამდვილად უდიდესი წარმატებაა. ჩემი ხელშეწყობით, ქართველი მოცეკვავე უკვე მეორედ ერთვება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გაყიდვად და მეგა ირლანდიურ ანსამბლ „რივერდანსის“ შოუში, როგორც სოლისტი. 40-დღიანი ტურნე იწყება ჩინეთში 23 დეკემბრიდან და ამ შოუში მონაწილეობას იღებს ქართველი მოცეკვავე. ეს ის შოუა, რომელსაც მსოფლიო ფეხზე დამდგარი ტაშს უკრავს. იმის გარდა, რომ მე გახლავართ ქორეოგრაფი, ასევე დიდი ხანია, პროდიუსერულ საქმიანობას ვეწევი და ვთანამშრომლობ მსოფლიოში წამყვან დასებთან და მწარმოებლებთან, ვინც კი არსებობს დედამიწის კულტურის კატალოგში, როგორც ბრენდი. და აი, ჩემი მეორე წარმატებული პროექტიც დაიწყო. ვისაც გინდათ, რომ დაესწროთ ნამდვილი „რივერდანსის“ განუმეორებელ შოუს და იხილოთ ქართველი მოცეკვავე, ამას თქვენ შეძლებთ ჩინეთში. მე ასევე ჩემმა ირლანდიელმა მეგობრებმა შემომთავაზეს „რივერდანსის“ განუმეორებელი შოუ საქართველოსთვის. მე და ჩემმა მეგობრებმა დავიწყეთ ამაზე მუშაობა, თუმცა, ჯერჯერობით, ფინანსები ვერ მოვიძიეთ. ალბათ, ამის დროც მოვა. სხვა უამრავი მაგარი პროექტიც გვაქვს, რომელიც ნამდვილად გააოცებს ქართველ საზოგადოებას.

წარმატებას ვუსურვებ კოკა გერგაიას! სად არიან ტელევზიები? აი, ეს უნდა გააშუქოთ!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სპეკულაციური გარიგება ბირჟაზე; 2. ატმოსფერული წნევის საზომი ერთეული; 3. ლითონის ან ხის დასამუშავებელი დანადგარი; 4. კროსვორდის გამომგონებელი; 6. ამერიკელი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ოთხჯერ იყო აშშ-ის პრეზიდენტი; 9. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 13. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 14. ამერიკული ფარმაცევტული ფირმა; 15. ქართული რადიო; 17. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 18. ტროპიკული მცენარე, რომლისგანაც ღებულობენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 20. ინდონეზიის კუნძული პოპულარული საკურორტო ზონა.

**თარაზულად:** 1. სამუზეუმო ექსპონატის მეორე ცალი; 5. მდინარე რომში; 7. არსებობის ყოველგვარ საშუალებას მოკლებული ღარიბი ადამიანის ძველებური სახელწოდება; 8. დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში მთავრდება რაიმე განმეორადებადი პროცესი; 10. ცვალებადი მიმართულების სუსტი ქარი ზღვის სანაპიროზე; 11. ხეებზე, ქვებზე მზარდი უფესვო, სპოროვანი მცენარე; 12. სვან მამაკაცთა ცეკვა; 16. კურორტ იალტის ძველი სახელწოდება; 17. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 13. ტბა გაგრის რაიონში; 21. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 22. პატარა მალაზია-სახელოსნო იტალიაში; 23. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 24. რეგიონი კახეთში.




შეადგინა თ.კოპალეიშვილმა